

186  
1973

საქართველოს  
ბიბლიოთეკა



# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3

მანკი—მანკი

1973 წ.



# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3

მაისი—ივნისი

1978 წ.

## შ ი ნ ბ ა რ ს ი

12303

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ  
მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

- 44. ბუნების დაცვის გაძლიერებისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების გაუმჯობესების შესახებ.
- 45. საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 22 სექტემბრის № 553 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
- 46. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსა და საქართველოს კვ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 6 ივნისის № 932 დადგენილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

- 47. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გალაქტიონ ტაბიძის სახელობის სტიპენდიის დაწესების შესახებ.
- 48. სამსახურებრივი მივლინებების მოწესრიგების დამატებით ღონისძიებათა შესახებ.
- 49. საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების წესდების დამტკიცების შესახებ.
- 50. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამგზავრო ელექტროტრანსპორტის სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.

კ. მარჯოს სსრ საქ სსრ  
ს. სკოლშილო რ. სხუბლიკ  
ბი ბიბლიოთეკა



51. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ვ. ნ. ჩუბინაშვილის ნის უკვდავყოფის შესახებ.
52. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 3 ნოემბრის № 694 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
53. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 23 აგვისტოს № 449 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
54. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა დაჯილდოებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვის წყაროების შესახებ.
55. საქართველოში მეფუტკრეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ.
56. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
57. უკანონო ჭრით სატყეო მეურნეობაში გამოწვეული ზარალისათვის მატერიალური პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.

## საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველო- ლოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

### 44 ბუნების დაცვის გაძლიერებისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების გაუმჯობესების შესახებ

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკაში ხორციელდება მუშაობა ბუნების დაცვის გაუმჯობესებისა და მისი რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის. იზრდება ირიგირებული და მელიორირებული მიწების ფართობი, იქმნება მინდორსაცავი ტყის ზოლები, დიდდება ტყეთაღდგენის სამუშაოთა, აგრეთვე გამოუსადეგარი მიწების გატყიანების სამუშაოთა მოცულობა, გაიშალა ბრძოლა ნიადაგების ეროზიის წინააღმდეგ, უმჯობესდება სამონადირეო და თევზის მეურნეობის გაძღოლა. თბოფიკაციისა და გაზიფიკაციის სულ უფრო ფართოდ დანერგვის შედეგად რესპუბლიკის სამრეწველო ცენტრებში, ქალაქებსა და რაიონებში მცირდება გარემოს გატუქყიანება და მერქნის სათბობის ხარჯვა, ხორციელდება ღონისძიებანი ჩაიღინარე წყლებისა და ატმოსფეროში სამრეწველო გამონაბოლქვების გაწმენდის უზრუნველსაყოფად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლებზე, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლები და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობას დაცვის კანონმდებლობის საფუძვლები, აგრეთვე საქართველოს სსრ მიწის კოდექსი, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის კანონი და ღონისძიებანი, რომლებიც უკანასკნელ დროს განახორციელეს საქართველოს კვ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ბუნებისა და ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვის, ჰაერისა და წყლის აუზების გატუქყიანებასთან ბრძოლის გაძლიერების, სატყეო მეურნეობის გაუმჯობესების მიზნით, ხელს უწყობენ ბუნებრივი რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებას, ბუნებრივ სიმდიდრეთა გამრავლებასა და მთლიანად გარემოს გაჯანსაღებას.

ამასთანავე საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკის ბევრი სამინისტრო, უწყება, საწარმო და ორგანიზაცია საკმარის ყურადღებას არ უთმობს ბუნების დაცვის, გარემოს გატუქყიანებასთან ბრძოლის, ბუნებრივი რესურსების რაციონ-



ნალური გამოყენების საკითხებს, არაღამაკმაყოფილებლად ასრულებს მისი ვალდებულებები. თველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 7 მარტის № 122 დადგენილებას.

მაღალია გამონაბოლქვი გაზებით ატმოსფერული ჰაერის გაქუქვიანების დონე, ხოლო ქ. თბილისში მისი ზრდის ტენდენციაც კი შეიმჩნევა. ავტომეურნეობები უზრუნველყოფილი არ არიან ძრავების კვებისა და ანთების სისტემის მარეგულირებელი გაზანალიზატორებით. სრულიად არასაკმარისია კონტროლი ინდივიდუალური სატრანსპორტო საშუალებების (ავტომობილები, მოტოციკლები, მოპედები) ტექნიკური მდგომარეობისადმი.

ბევრ საწარმოში, ქალაქსა და სხვა დასახლებულ პუნქტში ცუდად არის დაყენებული სამრეწველო და სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების, აგრეთვე საკანალიზაციო ჩანადენების გაწმენდის საქმე; საწმენდი ნაგებობანი ან სრულიად არ არის მოწყობილი, ანდა გამოყენებულია არაღამაკმაყოფილებლად, მთელ რიგ შემთხვევებში კი ისინი ძლიერ გადატვირთულია. ამის შედეგად იქმნება სამეურნეო-სასმელი წყალმომარაგებისათვის ბუნებრივი წყალსატევების შემდგომი გამოყენების შესაძლებლობათა შეზღუდვის რეალური საფრთხე.

სერიოზულ შეშფოთებას იწვევს სამეურნეო-სასმელი წყალმომარაგების მოქმედი წყაროების სანიტარიული დაცვის მდგომარეობა. მთელ რიგ ადგილებში არა აქვთ დაცვის ზონების დასადგენი დოკუმენტაცია, არ იღებენ ზომებს ამ ზონების ფარგლებში უკანონო მშენებლობის აღსაკვეთად.

წყალსატევებისა და წყალჩანადენების არაღამაკმაყოფილებელი სანიტარიული მდგომარეობა წარმოშობს იმის საფრთხეს, რომ მათ ცალკეულ უბნებზე შეიქმნას მწვავე ინფექციურ დაავადებათა აფეთქების ხელშემწყობი პირობები.

ნელი ტემპით ვითარდება საკანალიზაციო მეურნეობა. საყოფაცხოვრებო ნაგვის გადამუშავება არაღამაკმაყოფილებლად წარმოებს და არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს.

ხშირია არსებითი ნაკლოვანებები და უყარათობა მიწის წიაღის დამუშავებაშიც. ცალკეული სამინისტროები და უწყებები, საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებას ეწევიან, მხოლოდ იმით კმაყოფილდებიან, რომ მადნისაგან იღებენ ძირითად ლითონებს და სრულიად არ ზრუნავენ ძვირფასი თანმხლები კომპონენტების გამოყენებისათვის, რომელთა მნიშვნელოვან ნაწილს ყრიან.

არის შემთხვევები, როცა მიწის სამუშაოთა არასწორი წარმოების შედეგად აქტიურდება შეუქცევი თანამედროვე გეოლოგიური პროცესები. უფრო მეტიც, ზოგიერთი სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ორგანიზაციის მუ-

შაობაში დაშვებული უხეში შეცდომებისა და ხარვეზების გამო პოტენციურად მეწყრულ უბნებზე განხორციელდა მთელი რიგი ძვირადღირებული კაპიტალური ნაგებობების მშენებლობა, რომლებსაც შემდეგ, მეწყრის აქტივიზაციის შედეგად, დანგრევის საფრთხე დაემუქრა.

სამინისტროები და უწყებები, რესპუბლიკის საწარმოები და ორგანიზაციები ყოველთვის როდი ასრულებენ მიწის კანონმდებლობით დადგენილ იმ წესს, რომ მიწის ნაკვეთების ექსპლუატაციის დამთავრების შემდეგ მოხდეს მათი რეკულტივაცია.

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოები ჯერ კიდევ ნაკლებად ზრუნავენ ბუნებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვისათვის, არ ეწევიან განუწყვეტელ და მზანსწრაფულ ბრძოლას ჰაერისა და წყლის აუზების სისუფთავისათვის, ტყისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაცვა-შენარჩუნებისათვის, ბრაკონიერთა, ტყის გამჩენთა, ბუნებრივი გარემოს დაცვის დადგენილ წესების დამრღვევ პირთა წინააღმდეგ.

მნიშვნელოვან გაფართოებასა და გაუმჯობესებას მოითხოვს პროპაგანდისტული და აღმზრდელობითი მუშაობა ბუნებისა და მისი სიმდიდრეების დასაცავად. საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში ახალგაზრდობას სუსტად უნერგავენ მშობლიური მხარის ბუნების, ფლორისა და ფაუნის სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობას.

ბუნების დაცვის ძირეული გაუმჯობესებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების მიზნით და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 29 დეკემბრის № 898 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. დაეგზავნოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 29 დეკემბრის № 898 დადგენილება „ბუნების დაცვის გაძლიერებისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს კვ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს განუხრელ სანელმძღვანელოდ და შესასრულებლად.

2. დაევალოთ საქართველოს კვ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს ამ დადგენილების შესაბამისად გააძლიერონ ყურადღება ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფის საკითხებისადმი; დააწესონ სისტემატური კონტროლი ნიადაგების



ეროზიასთან ბრძოლის სამუშაოთა განხორციელებისადმი, იმისადმი, რომ ყველა მეურნეობა სწორად იყენებდეს მიწას, წყალს, ტყეს, წიაღსა და სხვა ბუნებრივ სიმდიდრეებს, იცავდეს მიწის რეკულტივაციის მოქმედ წესებსა და ნორმებს, ცდილობდეს თავიდან აიცილოს ნიადაგების, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების გაქუჩყიანება და დამლაშება, იცავდეს ტყეების წყალშემნარჩუნებელ და დამცავ ფუნქციებს, იღვწოდეს ცხოველთა და მცენარეთა საძვაროს შენარჩუნებისა და გამრავლებისათვის, აგრეთვე თავიდან იცილებდეს ატმოსფერული ჰაერის გაქუჩყიანებას და აძლიერებდეს ბრძოლას საწარმოო და საყოფაცხოვრებო ხმაურის წინააღმდეგ.

მოეთხოვოთ სამინისტროებს, უწყებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს კომპლექსურად და უფრო სრულად გამოიყენონ მოპოვებისა და გადამუშავებისას არა მარტო ძირითადი, არამედ აგრეთვე თანმხლები სასარგებლო წიაღისეული.

### 3. დაწესდეს, რომ:

ა) საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო:

— ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს იმისადმი, რომ სამინისტროები, უწყებები, სახელმწიფო, კოოპერაციული, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და დაწესებულებები, აგრეთვე მოქალაქენი იცავდნენ მიწის კანონმდებლობას და მიწათსარგებლობის წესს;

— ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს იმისადმი, რომ სამინისტროები, უწყებები და მოქალაქეები იღებდნენ ზომებს მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ საბრძოლველად და იცავდნენ შხამქიმიკატების გამოყენების დადგენილ წესებს, რათა არ დაუშვან მავნე ნივთიერებათა შეღწევა სოფლის მეურნეობის პროდუქციაში და მათი დაგროვება ნიადაგსა და წყალსატევებში;

ბ) საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო:

— პასუხისმგებელი არიან კოლმეურნეობების და თავიანთ სისტემაში შემავალი სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების სარგებლობაში არსებული მიწების დაცვისა და რაციონალური გამოყენების ორგანიზაციისათვის, სოფლის მეურნეობაში შხამქიმიკატების სწორად გამოყენებისათვის, სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და ნარგავების დაავადებათა და მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის ბიოლოგიურ საშუალებათა გამოყენების გაფართოებისათვის, მიწების მორწყვისას წყლის მომჭირნეობით გამოყენებისათვის, და ახორციელებენ კონტროლს მიწების რეკულტივაციისადმი;

— უზრუნველყოფენ ეროზიასწინააღმდეგო ღონისძიებათა კომპლექსის, მათ შორის მინდორსაცავი ტყეების გაშენების სამუშაოთა შესრულებას;

გ) საქართველოს სსრ მეღიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო:

— პასუხისმგებელია სამეღიორაციო სისტემების ტექნიკური ღონისა და ეფექტიანობისათვის, მიწების მორწყვისას წყლის რაციონალურად გამოყენ-

ნებისათვის, დამლაშებული მიწების გაუმლაშურების სამუშაოთა განხორციელებისათვის, ექსპლუატაციას უწევს სადარგათშორისო წყალსამეურნეო ობიექტებსა და სისტემებს და ამუშავებს პატარა მდინარეებისა და მთის მდინარეთა სათავეების დაცვის სქემებს;

— ამუშავებს და წარუდგენს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის განვითარების პერსპექტიული და წლიური გეგმების პროექტებს;

— ამუშავებს წყალდიდობის, ღვარცოფების, ნიადაგების ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს და აშენებს წყალდიდობასაწინააღმდეგო, ეროზიასაწინააღმდეგო და ღვარცოფსაწინააღმდეგო ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს;

დ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტი:

— პასუხისმგებელია რესპუბლიკის ტერიტორიაზე ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების გამოყენებისათვის, დაშრობისაგან, სამრეწველო, საყოფაცხოვრებო და სხვა ჩამდინარე (სადრენაჟო და ნახმარი) წყლებითა და ჩანადენებით დანაგვიანებისა და გაჭუჭყიანებისაგან მათი დაცვისათვის, აგრეთვე ახორციელებს კონტროლს წყლების მავნე ზემოქმედების (წყალდიდობა, დაჭაობება, წარეცხვა, ნიადაგების წყლისმიერი ეროზია და სხვ.) წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესრულებისადმი;

— პასუხისმგებელია რესპუბლიკაში მეწყრისა და ზვავების და ზღვის სანაპიროს ნგრევის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით განხორციელებული საძუშაოებისათვის, კოორდინაციას უწევს და ახორციელებს კონტროლს აღნიშნული სამუშაოებისადმი, აგრეთვე ტექნიკურ კონტროლს არსებულ მეწყერსაწინააღმდეგო და ზვავსაწინააღმდეგო ნაგებობათა ექსპლუატაციისა და მდგომარეობისადმი.

საავტომობილო გზებისა და რკინიგზების განსხვინების ზოლში მეწყრისა და ზვავების წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაოებს ახორციელებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრო და ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო;

— შეიმუშავებს, მოყოლებული 1974 წლიდან, დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად მეწყრისა და ზვავების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელების პერსპექტიული და წლიური გეგმების პროექტებს და დაწესებულ ვადებში წარუდგენს საქირო მასალებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს.

მიღებულ იქნეს სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს წინადადება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტის ორმაგი დაქვემდებარების — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსადმი დაქვემდებარების შესახებ.



მეწყერსაწინააღმდეგო და ზეგასაწინააღმდეგო ნაგებობათა დაპროექტება შესაბამისად ეკისრებათ: საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს „საქწყალსახპროექტის“ ინსტიტუტს (მეთაური ინსტიტუტი) და საქართველოს სსრ სახმშენის „საქსოფლმშენსახპროექტის“ ინსტიტუტს, ხოლო მშენებლობა — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს;

ე) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი:

— ახორციელებს სახელმწიფო ზედამხედველობას ტყეების მდგომარეობისადმი და რესპუბლიკაში ტყის რესურსების რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფისადმი, პასუხისმგებელია ტყეების კვლავწარმოებისა და პროდუქტიულობის ამაღლებისათვის, მავნე მწერთა და დაავადებათაგან, თვითნებური გაჩეხვისა და ტყისთვის საზიანო სხვა მოქმედებისაგან ტყეების დაცვის ორგანიზაციისათვის;

— ახორციელებს კონტროლს სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების დაცვისადმი და იმისადმი, რომ სატყეო-სამეურნეო საწარმოები და ორგანიზაციები და ტყით მოსარგებლეები მათ იყენებდნენ ამ მიწების მიზნობრივი დანიშნულების შესაბამისად, აგრეთვე კონტროლს უწევს ტყით სარგებლობის წესების დაცვას სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე;

— უძღვება მეურნეობას და პასუხისმგებელია სასარგებლო ფაუნის დაცვა-შენარჩუნებისა და გამრავლებისათვის სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე;

ვ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველო ახორციელებს კონტროლს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამონადირეო მეურნეობის სწორი გაძღოლისადმი და სასარგებლო ფაუნის დაცვა-შენარჩუნებისა და გამრავლებისათვის მოქმედი კანონმდებლობის დაცვისადმი, აგრეთვე სანაკრძალო საქმეში;

ზ) საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს ბუნებრივი გარემოს, აგრეთვე მოსახლეობის სასმელი, საყოფაცხოვრებო, გამაჯანსაღებელი და სხვა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად გამოყენებული ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების გაჭუჭყიანების სალიკვიდაციოდ და თავიდან ასაცილებლად დასახულ ღონისძიებათა განხორციელებისადმი;

თ) საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად ზედამხედველობას უწევს დასახლებული პუნქტების ქუჩების, ეზოებისა და სხვა ტერიტორიების, აგრეთვე მშრომელთა დასაბინებელი ქალაქგარე ადგილებისა და პლაჟების მოვლის საინჟინერო-საპროექტო დასახელებისა და დაცვას, ეხმარება შიგნითა ორგანოებს ბუნებრივი სიმდიდრეების შენარჩუნებისა და გაჭუჭყიანებისაგან დაცვის ღონისძიებათა გან-

ხორციელებაში, ბრაკონიერობასთან და ნადირობისა და თევზჭერის წესებთან დარღვევებთან ბრძოლაში;

ი) საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველო ახორციელებს კონტროლს დაშრობისა და გაუქუყიანებისაგან მიწისქვეშა წყლების დაცვისადმი;

კ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტი ახორციელებს კონტროლს წიაღის დაცვისადმი, სასარგებლო წიაღისეულისა და ჰიდრომინერალური რესურსების საბადოთა სწორი ექსპლუატაციისადმი;

ლ) საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრო აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან ერთად:

პასუხისმგებელია საწმენდ ნაგებობათა მშენებლობისა და შეუფერხებელი მუშაობისათვის, აგრეთვე ქალაქებსა და ქალაქის ტიპის სხვა დასახლებულ პუნქტებში ჩამდინარე წყლების გაშვებისათვის;

— ახორციელებს საჭირო ღონისძიებებს შავი ზღვის სანაპიროს პლაჟების ზონის დაცვისათვის;

— ახორციელებს ქალაქებსა და ქალაქის ტიპის სხვა დასახლებულ პუნქტებში მეწყრისა და ზვავების წინააღმდეგ ბრძოლის და მათი შესაძლო აქტივიზაციის თავიდან აცილების ღონისძიებებს;

მ) საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრო პასუხისმგებელი არიან საწმენდ ნაგებობათა მშენებლობისა და შეუფერხებელი მუშაობისათვის, აგრეთვე კურორტებზე ჩამდინარე წყლების გაშვებისათვის, ახორციელებენ მეწყრისა და ზვავების წინააღმდეგ ბრძოლის და მათი შესაძლო აქტივიზაციის თავიდან აცილების ღონისძიებებს;

ნ) პასუხისმგებლობა ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში ატმოსფერული ჰაერის გაუქუყიანებისაგან დაცვის ღონისძიებათა განხორციელებისათვის ეკისრებათ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა გააძლიერონ კონტროლი იმისადმი, რომ ყველა საწარმო და ორგანიზაცია, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, ახორციელებდეს ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებებს, აგრეთვე იმისადმი, რომ ყველა ნოქალაქე ზუსტად იცავდეს ბუნებრივი გარემოს დაცვის დადგენილ წესებს.

4. დაევალთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს აგროსამელიორაციო რუკების კომპლექსის შედგენის სამუშაოები, რომლებსაც საქართველოს შიწათმოფეხობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი ახორციელებს, დაუკავშირონ რესპუბლიკის რთულრელიეფიანი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიურ გამოკვლევებს, რომლებსაც საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველო ახორციელებს აღნიშნული ტერიტორიის პერსპექტიული ათვისების მიზნით.

5. დაევალთ რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს უზრუნველყონ, მოყოლებული 1974 წლიდან, ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა განხორციელების პერსპექტიული და წლიური გეგმების პროექტების შემუშავება და მათი წარდგენა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების პროექტებთან ერთად;

— გაითვალისწინონ აღნიშნულ გეგმათა პროექტებში ბუნების დაცვის ღონისძიებანი, რომლებიც უნდა განხორციელდეს ცალკეულ საწარმოთა და ორგანიზაციათა ძალებით;

— გაითვალისწინონ საწარმოთა მშენებლობის პროექტებში სპეციალური განაცოფი, რომელშიც ჩამოთვლილი იქნება ჩამდინარე წყლებითა და სამრეწველო გამონაბოლქვებით გაუჭუყიანებისაგან წყალსატევების, ნიადაგისა და ატმოსფერული ჰაერის დაცვის ღონისძიებანი;

— გამოპყონ საჭირო სახსრები მეწყერსაწინააღმდეგო და ზეავსაწინააღმდეგო ნაგებობათა პროექტების შესადგინად და ასაშენებლად;

— მიიღონ საჭირო ზომები მიწების რეკულტივაციის სამუშაოთა დაჩქარებისა და გაუმჯობესებისათვის, ამასთან დროულად გადასცენ აღდგენილი მიწები კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა მიწათმოსარგებლებებს;

— უზრუნველყონ მტკიცე კონტროლი საქვეუწყებო საწარმოებში ჩამდინარე წყლების საწმენდ ნაგებობათა და გაზსაწმენდ და მტვერდამჭერ ნაგებობათა დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლუატაციისადმი;

— გაითვალისწინონ ქალაქებიდან დადგენილი წესით ცალკეულ საწარმოთა გადატანა ან მათი საწარმოო პროფილის შეცვლა იმ შემთხვევებში, როცა ამ საწარმოთა ყველაზე მავნე ნარჩენების არსებითი შემცირება შეუძლებელია;

— უზრუნველყონ, რომ 1973 წელს საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში შეიძულონ და დაამტკიცონ ღონისძიებანი ახალი ტექნოლოგიური პროცესების შესაქმნელად და არსებულის გასაუმჯობესებლად, რათა შემცირდეს ჩამდინარე წყლების, მავნე გამონაბოლქვების რაოდენობა ატმოსფეროში და მისი გაუჭუყიანება;

— გამოიკვლიონ 1973 წელს კანალიზაციისა და ჩამდინარე წყლების გაწმენდის მდგომარეობა საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში იმ მიზნით, რომ განხორციელდეს ახალ საწმენდ ნაგებობათა მშენებლობა და არსებულის რეკონსტრუქცია, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ საჭიროა მაქ-

სიმაღურად გადიდდეს საბრუნო წყალმომარაგება და დაჩქარდეს ჩამდინარე წყლების საწმენდ ნაგებობათა მშენებლობა.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა უზრუნველყოს, მოყოლებული 1974 წლიდან, რესპუბლიკის ტერიტორიაზე ბუნების დაცვის კრებსითი პერსპექტიული და წლიური გეგმების პროექტების შემუშავება, რომლებიც გაითვალისწინებენ ბუნების დაცვის ღონისძიებებს, რაც უნდა შეასრულონ როგორც სსრ კავშირის საერთო-საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროთა და უწყებათა საქვეუწყებო საწარმოებმა და ორგანიზაციებმა, ისევე საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა საქვეუწყებო საწარმოებმა და ორგანიზაციებმა, და მათი წარმოდგენა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსათვის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების პროექტებთან ერთად.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა შექმნას ცენტრალური აპარატის შემადგენლობაში ბუნების დაცვის განყოფილება. დაველოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს ერთი თვის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი აღნიშნული განყოფილების შექმნის შესახებ.

6. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტთან, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან და სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან, უწყებებთან და საკავშირო დაქვემდებარების ორგანიზაციებთან ერთად შეიმუშაოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ გაუწმენდელი და არასაკმარისად გაწმენდილი და გაუენებლებული ჩამდინარე წყლების გაშვების მთლიანად შეწყვეტას წყალსატევებში, უწინარეს ყოვლისა მტკვრისა და რიონის აუზებში, და 1973 წლის 1 ივნისამდე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო პირი — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს შემდგომ სსრ კავშირის მელოორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან, სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტროსთან და სსრ კავშირის სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან შესათანხმებლად და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში წარსადგენად.

7. საქართველოს სსრ სახმშენმა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანასთან, რუსთავის ქიმიურ კომბინატთან, რუსთავის ხელოვნური ბოჭკოს ქარხანასთან, რუსთავის ცემენტის ქარხანასთან და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანასთან ერთად შეიმუშაონ მოქმედ საწარმოებში გაზსაწმენდი და მტვერდამკერი დანადგარების რეკონსტრუქციისა და მშენებლობის ღონისძიებანი ქ. რუსთავსა და ზესტაფონში ატმოსფერული ჰაერის გადამეტებული გაჭუჭყიანების სალიკვიდაციოდ.

რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ, რუსთავის ქიმიურმა კომბინატმა, რუსთავის ხელოვნური ბოჭკოს ქარხანამ, რუსთავის ცემენტის ქარხანამ და



ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ განახორციელონ აღნიშნული ძიებანი 1973-1977 წლებში სსრ კავშირის შესაბამის სამინისტროთა მიერ გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებებით.

8. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს საწარმოთა და ნაგებობათა დაპროექტების დავალებათა შედგენისას გაითვალისწინონ მათში იმ ღონისძიებათა შემუშავების მოთხოვნები, რომლებიც გამოირჩევიან ბუნებრივ გარემოზე დასაპროექტებელი საწარმოს ან ნაგებობის უარყოფითი ზემოქმედების შესაძლებლობას: ახალი ტექნოლოგიური პროცესების დაპროექტების დავალებათა შედგენისას გაითვალისწინონ მოთხოვნები, რათა მკვეთრად შემცირდეს ან მთლიანად გამოირიცხოს ატმოსფეროს, წყალსატევებისა და ნიადაგის გაუფუჭიანება მავნე ნარჩენებითა და ჩანადრებით; ახალ საწარმოთა და ნაგებობათა მშენებლობის და მოქმედთა რეკონსტრუქციის ტექნიკური (ტექნიკური-სამუშაო) პროექტების დამტკიცებისას უზრუნველყონ ამ მოთხოვნების დაცვა.

საქართველოს სსრ სახმშენმა, რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა ახალ საწარმოთა და ნაგებობათა მშენებლობისა და მოქმედთა რეკონსტრუქციის პროექტების ექსპერტიზის დროს უზრუნველყონ, რომ მათში დაცული იყოს ბუნებრივი გარემოს დაცვის მოთხოვნები.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად შეიმუშაოს 1973-1974 წლებში ტყეების წყალდამცავი ზონებისა და წყლის წყაროების სანიტარიული დაცვის ზონების საზღვრები და წარმოუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

10. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს კვ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1973 წლის 6 მარტს მიიღეს № 143 დადგენილება „ქალაქების თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონის გაფართოების, გარემოს გაჯანსაღებისა და მშრომელთა მასობრივი დასვენების პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

დაევალოთ საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და თბილისის, ქუთაისისა და რუსთავის მშრომელთა დებუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებს უზრუნველყონ 1973-1980 წლებში სამუშაოთა განხორციელება ქალაქებსა და საგარეუბნო ზონებში მწვანე ნარგავების ფართობის გასაზიარებლად (ახალი პარკების, ბაღების, სკვერების, ხეივანების, დამცავი მწვანე ზონებისა და ტყეპარკების შექმნა, განსაკუთრებით რეკულტივირებულ მიწებზე).

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა:

— მკაცრად შეზღუდოს მიწის ნაკვეთების გამოყოფა ქალაქების მწვანე ზონების ტყეების, ტყესაცავი ზონებისა და პირველი ჯგუფის სხვა ტყეების



ტერიტორიაზე იმ მიზნისათვის, რაც დაკავშირებული არაა სატყეო მეურნეობის განვითარებასთან;

— მოამზადოს საქართველოს სსრ სახმშენის, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და საქართველოს პროფსაბჭოს წინადადებათა მიხედვით და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად მკურნალობის, დასვენების, ტურიზმის ზონების მოსაწყობად სარეზერვო ტერიტორიების ნუსხა და საზღვრები, აგრეთვე ამ ტერიტორიების ექსპლუატაციის წესები.

12. მინდორსაცავი ზოლებისა და სხვა მერქნიანი ნარგავების დაცვა, რომლებიც სახელმწიფო ტყის ფონდის შემადგენლობაში არ შედის, დაეკისროთ იმ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომელთა მიწებზეც ისინი მდებარეობენ.

13. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებიც ეწევიან მერქნის დამზადებასა და გადამუშავებას, მიიღონ საჭირო ზომები მერქნის დამზადების ხარისხის გასაუმჯობესებლად და დანაკარგების შესამცირებლად, ხოლო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა გააძლიეროს კონტროლი იმისადმი, რომ ხე-ტყის დამამზადებელი ორგანიზაციები და საწარმოები სწორად აწარმოებდნენ ტყის კრას და რაციონალურად იყენებდნენ მათთვის გამოყოფილ ტყესაკავ ფონდს.

14. აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები, აგრეთვე ცალკეული საწარმოები სრულიად არა-დამაკმაყოფილებლად ასრულებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 23 ივლისის № 411 დადგენილებას „სამრეწველო და გამონაბოლქვი გაზებით გაჭუჭყიანებისაგან ატმოსფერული ჰაერის დაცვის ღონისძიებათა შესახებ“;

დაევალოს:

— საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით 1973 წელს შეიმუშავოს ღონისძიებანი ავტომობილის ძრავის გამონაბოლქვი გაზების ტოქსიკურობის შესამცირებლად და დაწესებულ ნორმებამდე მის დასაყვანად;

— სამინისტროებს, უწყებებსა და ორგანიზაციებს განახორციელონ 1973-1975 წლებში ღონისძიებანი ავტომობილის ძრავის გამონაბოლქვი გაზების ტოქსიკურობის შესამცირებლად;

— საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მოაწყოს დიდ ქალაქებსა და ქალაქ-კურორტებში საკონტროლო-სარეგულირებელი პუნქტების საჭირო ქსელი.

15. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და საქართველოს შავი ზღვის აუზის



თევზის მარაგის დაცვის, კვლავწარმოებისა და თევზჭერის რეგულირების სა-  
მართველომ, მოყოლებული 1973 წლიდან, საქვეუწყებო სამეცნიერო-კვლევით  
დაწესებულებათა ძალებით სისტემატურად შეისწავლონ შხამქიმიკატების გა-  
ვლენა წყლის ორგანიზმებზე და განსაზღვრონ თევზსამეურნეო წყალსატევე-  
ში მათი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები.

16. ქალაქების, საგარეუბნო ზონების, მუშათა დაბებისა და სასოფლო და-  
სახლებული პუნქტების სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით:

— საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, აფხაზე-  
თის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიუ-  
რი ოლქის, თბილისისა და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო სა-  
ბჭოების აღმასკომებმა საქართველოს სსრ მჭენებლობის სამინისტროსთან და  
სხვა სამშენებლო ორგანიზაციებთან ერთად განიხილონ ქალაქებსა და მუშათა  
დაბებში წყალსადენების, საკანალიზაციო და საწმენდ ნაგებობათა მშენებლო-  
ბის მდგომარეობა, დასახონ და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი დაწე-  
სებულ ვადებში მათი უცილობლივ ამოქმედებისათვის;

— საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, აფხაზე-  
თის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიუ-  
რი ოლქის, თბილისისა და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო სა-  
ბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ 1973-1974 წლებში საჭირო ღონისძიე-  
ბათა განხორციელება, რათა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტ-  
როს მიერ დამტკიცებულ სანიტარიული წესების შესაბამისად მოაწყონ ქა-  
ლაქების, სამრეწველო ცენტრებისა და საკურორტო ზონების მახლობლად გან-  
ლაგებული ღია საყოფაცხოვრებო ნაგავსაყრელები;

— საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ ორი  
თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადა-  
დებანი ნაგავგადასამუშავებელი და ნაგავსაწვავი ქარხნების მშენებლობის სა-  
პროექტო დოკუმენტაციის შემუშავების შესახებ და, მოყოლებული 1974 წლი-  
დან, განახორციელოს ასეთი ქარხნების მშენებლობა დიდ ქალაქებში;

— საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ აფხაზე-  
თის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონო-  
მიური ოლქის, ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებ-  
თან, შესაბამის სამინისტროებთან, უწყებებთან და რესპუბლიკური და საკავ-  
შირო დაქვემდებარების საწარმოებთან ერთად შეიმუშაოს და განახორციელოს  
1973-1975 წლებში ღონისძიებანი დიდ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებ-  
ში სამრეწველო ნარჩენების ცენტრალიზებული გატანისა და გაუვნებლების  
უზრუნველსაყოფად.

17. დაწესდეს, რომ წყალსადენებისა და კანალიზაციის საწმენდი ნაგებო-  
ბები უნდა დაპროექტდეს ქალაქებისა და მუშათა დაბების განვითარების პერ-  
სპექტივის გათვალისწინებით. ამ ნაგებობათა მშენებლობა და საექსპლუატა-  
ციოდ გადაცემა უნდა ხორციელდებოდეს ეტაპებად, ამასთან უზრუნველყო-  
ფილ იქნეს გაწმენდის საჭირო ტექნოლოგიური კომპლექსი.

18. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს საწარმოთა და ნაგებობათა მშენებლობის ტექნიკური პროექტების და ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების ექსპერტიზისა და დამტკიცების დროს უზრუნველყონ წყლებისა და სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ჩანადენების გაწმენდის, მავნე სამრეწველო გამონაბოლქვებისაგან ატმოსფეროს დაცვის, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ნარჩენების უტილიზაციის, ნეიტრალიზაციისა და დაწვის, სასარგებლო წიაღისეულის რაციონალური დაქუჩავეებისა და მიწების რეკულტივაციის ნორმატიული მოთხოვნების დაცვა.

საქართველოს სსრ სახმშენმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტმა დააწესონ რეგულარული კონტროლი აღნიშნული მოთხოვნების შესრულებისადმი.

19. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ და რესპუბლიკის სხვა საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციებმა განსაკუთრებული კონტროლი გაუწიონ საწმენდ ნაგებობათა მშენებლობას და უზრუნველყონ კაპიტალურ დაბანდებათა გეგმების უცილობლივ შესრულება, ამ ნაგებობათა საექსპლუატაციოდ გადაცემის ვადების დაცვა.

20. გაზეთების „კომუნისტის“, „ზარია ვოსტოკას“, „სოფლის ცხოვრების“, „ახალგაზრდა კომუნისტის“, „მოლოდინოჟ გრუზიის“, ჟურნალ „საქართველოს ბუნების“, აგრეთვე საოლქო და რაიონული გაზეთების რედაქციებმა ფართოდ გააშუქონ ბუნების დაცვის გაძლიერებასთან და ბუნებრივი რესურსების გამოყენების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხები.

21. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, რესპუბლიკურმა საზოგადოება „ცოდნამ“ გააფართოონ საინფორმაციო, მეცნიერულ-პოპულარული, საგანმანათლებლო, მხატვრული ლიტერატურისა და კინოფილმების გამოშვება ბუნების დაცვის საკითხებზე, გააძლიერონ ლექციური პროპაგანდა, უფრო სრულად გააშუქონ ეს საკითხები რადიოთი და ტელევიზიით.

22. ეს დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში.

საქართველოს კვ  
 ცენტრალური კომიტეტის მდივანი  
 ბ. შავარდნაძე.

საქართველოს სსრ  
 მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე  
 ბ. ჯავახიშვილი.



## სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

### დადგენილება № 898

1972 წლის 29 დეკემბერი

მოსკოვი, კრემლი

**ბუნების დაცვის გაძლიერებისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების  
ბის გაუმჯობესების შესახებ<sup>1)</sup>**

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება ღონისძიებანი ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის: ფართოდ განვითარდა მიწების მელიორაცია, მიმდინარეობს ბრძოლა ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ, აშენდა მსხვილი ჰიდროელექტროსადგურები, ხდება მდინარეთა ჩანადების რეგულირება და გადაწევა, ხორციელდება ღონისძიებანი თევზისა და სამონადირეო მეურნეობის გაძლიერების გასაუმჯობესებლად, დიდ ფართობებზე ტყეების გასაახლებლად, ფართოდ ინერგება თბოფიკაცია ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში და გაზიფიკაცია, რაც არსებითად ამცირებს ჰაერის აუზის გაქუჩყინებას, მიმდინარეობს საწარმოებსა და ქალაქებში ჩამდინარე წყლების და ატმოსფეროში სამრეწველო გამონახობების საწმენდ ნაგებობათა მშენებლობა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლები, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლები, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლები, აგრეთვე პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებასთან და გაქუჩყინებისაგან ბუნებრივი გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე ქმნიან პირობებს ამ რესურსების ყველაზე ეფექტიანი მეცნიერულად დასაბუთებული გამოყენებისა და ბუნების დაცვის გაძლიერებისათვის.

ამასთანავე სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ ბევრი სამინისტრო, უწყება, საწარმო და ორგანიზაცია

<sup>1)</sup> დანართები არ არის მოყვანილი

ჯერ კიდევ სათანადოდ არ მუშაობს გატუტყუიანებისაგან ბუნებრივი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფის საკითხებზე.

სამინისტროები, უწყებები და სამეცნიერო დაწესებულებები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ ტექნოლოგიური პროცესების შემუშავებას, რომლებიც გამორიცხავენ ან არსებითად ამცირებენ ნიადაგის, ატმოსფეროსა და ჩამდინარე წყლების გატუტყუიანებას, არ ახორციელებენ საჭირო გამოკვლევებს ჩამდინარე წყლების გაწმენდის, გაზაწმენდის მეთოდებისა და ტექნოლოგიის სრულყოფისათვის და ბუნების დაცვისა და ბუნებრივ სიმდიდრეთა კვლავწარმოების სხვა აქტუალურ პრობლემებზე.

სამინისტროები, უწყებები, საწარმოები და ორგანიზაციები სრულად არ ახორციელებენ მიწის წიაღის რაციონალურ, კომპლექსურ გამოყენებას, ურიგდებიან სასარგებლო წიაღისეულთა დიდ დანაკარგებს მათი მოპოვებისა და გადამუშავების დროს. მდინისაგან ხშირად იღებენ მხოლოდ ძირითად ლითონებს, ძვირფასი თანმსლები კომპონენტების მნიშვნელოვან ნაწილს კი ყრიან, რაც სერიოზულ ზარალს აყენებს სახელმწიფოს.

ბევრ საწარმოში, ქალაქსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში არ არის ჩამდინარე წყლების საწმენდი საჭირო ნაგებობანი, ხოლო იქ, სადაც არის ასეთი ნაგებობანი, ისინი ხშირად გამოყენებულია არადამაკმაყოფილებლად. წყალდამცავ და წყალსაწმენდ ნაგებობათა დაპროექტება და მშენებლობა ჩამორჩება სამრეწველო და საბინაო მშენებლობის ტემპს.

მანქანათმშენებლობის სამინისტროები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ საწმენდი ნაგებობებისათვის თანამედროვე ტიპის მოწყობილობისა და აპარატურის წარმოებას.

არის წყალსაცავების, სასოფლო-სამეურნეო და ტყის სავარგულების არარაციონალური გამოყენების ფაქტები.

წყალსაცავების აგებისას მთელ რიგ შემთხვევებში სრულად არ ითვალისწინებენ წყალსაცავებში შესაძლო მექანიკურ და ბიოლოგიურ პროცესთა მასშტაბებს (ნაპირების ნგრევა, მეჩეჩების გაჩენა, წყალმცენარეთა განვითარება, თევზის კვლავწარმოების პირობების გაუარესება და სხვა პროცესები) და არ ახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს მათი მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, რაც ზარალს აყენებს სახალხო მეურნეობას.

სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტრო, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტრო და სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ წყალსატევების ბიოლოგიური მელიორაციის მეთოდების შემუშავებას, კერძოდ, ამ მიზნით მცენარეუბათა თევზების გამოყენებას.

ადგილობრივი პარტული და საბჭოთა ორგანოები საკმარის ყურადღებას არ უთმობენ ბუნების დაცვის საკითხებს, ნაკლებად ზრუნავენ სასოფლო-სამეურნეო და ტყის სავარგულების დაცვა-შენარჩუნებისათვის, წყალსატევებისა და საპაერო აუზის სისუფთავისათვის, ფლორისა და ფაუნის დაცვა-შენარჩუნებისა და გამრავლებისათვის.

12303

ქ. თბილისი, ...  
ს. ხ. ...

ნაკლოკაშებებია ბუნების დაცვის პრობლემის დარგშიც. სკოლებში, ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა ამ საკითხს.

ბუნების დაცვის გაძლიერებისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების გაუმჯობესების მიზნით სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა და მინისტრთა საბჭოებმა, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებმა, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა გააძლიერონ ყურადღება ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფის საკითხებისადმი, ამასთან დააწესონ სისტემატური კონტროლი ნიადაგის ეროზიასთან ბრძოლის სამუშაოთა განხორციელებისადმი, იმისადმი, რომ კოლმეურნეობები, საწარმოები და ორგანიზაციები სწორად იყენებდნენ მიწებს, წყლებს, ტყეებს, წიაღსა და სხვა ბუნებრივ სიმდიდრეებს, იცავდნენ მოქმედ წესებსა და ნორმებს მიწების რეკულტივაციის, ნიადაგების, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების გაჭუჭყიანებისა და დამლაშების, ტყეების წყალშემნარჩუნებელი და დამცავი ფუნქციების, ტორფიანი მასივების წყალმარეგულირებელი როლის შენარჩუნების, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს დაცვა-შენარჩუნებისა და კვლავწარმოების, ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების თავიდან აცილების, საწარმოო და საყოფაცხოვრებო ხმაურთან ბრძოლის გაძლიერების დარგში.

მოეთხოვოთ სამინისტროებს, უწყებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს კომპლექსურად და უფრო სრულად გამოიყენონ მოპოვებისა და გადამუშავებისას არა მარტო ძირითადი, არამედ თანმხლები სასარგებლო წიაღისეული.

## 2. დაწესდეს, რომ:

### ა) სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო:

ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს იმისადმი, რომ სამინისტროები, უწყებები, სახელმწიფო, კოოპერაციული, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და დაწესებულებები, აგრეთვე მოქალაქენი იცავდნენ მიწის კანონმდებლობასა და მიწათსარგებლობის წესს;

პასუხისმგებელია კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამინისტროს სისტემაში შემავალი სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების სარგებლობაში არსებული მიწების დაცვისა და რაციონალური გამოყენების, სოფლის მეურნეობაში შხამქიმიკატების სწორად გამოყენების ორგანიზაციისათვის, სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და ნარგავების დაავადებათა და მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის ბიოლოგიურ საშუალებათა განვითარებისა და ფართოდ გამოყენებისათვის, მიწების რწყვისას წყლის მომჭირნეობით გამოყენების ორგანიზაციისათვის და ახორციელებს კონტროლს მიწების რეკულტივაციისადმი;

ასრულებს ეროზიასაწინააღმდეგო ღონისძიებათა კომპლექსს, მათ შორის მინდორსაცავი ტყის გაშენების სამუშაოებს;

ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს იმისადმი, რომ სამინისტროები, უწყებები და მოქალაქენი იღებდნენ ზომებს მცენარეთა მავნებლებთან და დავადებებთან საბრძოლველად და იცავდნენ შხამქიმიკატების გამოყენების დადგენილ წესებს, რათა არ დაუშვან მავნე ნივთიერებათა შეღწევა სოფლის მეურნეობის პროდუქციაში და მათი დაგროვება ნიადაგსა და წყალსატევებში;

ახორციელებს კონტროლს სამონადირეო მეურნეობის სწორად გაძლო-სადმი და სასარგებლო ფლორისა და ფაუნის დაცვა-შენარჩუნებისა და გამრავლების და სანაყრძალო საქმის თაობაზე მოქმედი კანონმდებლობის დაცვისადმი;

ბ) სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო:

პასუხისმგებელია სახალხო მეურნეობაში წყლების რაციონალურად გამოყენების ორგანიზაციისათვის და გაქუჩყიანებისაგან, დანავიანებისა და დაშრობისაგან მათი დაცვისათვის, სამელიორაციო სისტემათა ტექნიკური ღონისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის, დამლაშებული მიწების გაუმლაშურების სამუშაოთა განხორციელებისათვის;

ახორციელებს დადგენილი წესით სახელმწიფო კონტროლს მიწების რაციონალურად გამოყენებისადმი, გაქუჩყიანებისაგან, დანავიანებისა და დაშრობისაგან წყალსატევების დაცვის ღონისძიებათა განხორციელებისადმი, აგრეთვე საწმენდ ნაგებობათა მუშაობისა და ჩამდინარე წყლების გაშვებისადმი (სამრეწველო, სადრენაჟო, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო, სასოფლო-სამეურნეო, კერძოდ მეცხოველეობის მსხვილი კომპლექსების, და სხვა წყლები);

ექსპლუატაციას უწევს დიდ სადარგათაშორისო წყალსამეურნეო ობიექტებსა და სისტემებს;

ამუშავებს და წარუდგენს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს სსრ კავშირის წყალთა მეურნეობის განვითარების პერსპექტიული და წლიური გეგმების, წყლის კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემების პროექტებს, საერთო-საკავშირო მნიშვნელობის წყალსამეურნეო ბალანსების, აგრეთვე სარესპუბლიკათაშორისო მნიშვნელობის მდინარეთა აუზების მიხედვით წყალმოსარგებლეთა შორის წყლების განაწილების გეგმების პროექტებს;

ამუშავებს პატარა მდინარეებისა და მთის მდინარეების სათავეთა დაცვას სქემებს;

გ) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი:

ახორციელებს სახელმწიფო ზედამხედველობას ტყეების მდგომარეობისადმი და ჩვენს ქვეყანაში ტყის რესურსების რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფისადმი, პასუხისმგებელია ტყეების კვლავწარმოებისა და პროდუქტიულობის ამაღლებისათვის, ხანძრისაგან ტყეების დაცვის ორგანიზაციისა და მისი დროულად ლიკვიდაციისათვის, მავნე მწერთა და დაავადებათაგან ტყეების დაცვისათვის, თვითნებური ჭრისა და ტყის საზიანო სხვა მოქმედებისაგან ტყეების დაცვის ორგანიზაციისათვის;



ახორციელებს კონტროლს სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების დაცვების მი და იმისადმი, რომ სატყეო-სამეურნეო საწარმოები და ორგანიზაციები და ტყეთმოსარგებლები იყენებდნენ მათ ამ მიწების მიზნობრივი დანიშნულების შესაბამისად და იცავდნენ ტყეთსარგებლობის წესებს სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე;

დ) სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტრო უზრუნველყოფს თევზის მარაგის დაცვასა და კვლავწარმოებას, თევზჭერის რეგულირებას, აგრეთვე ქვეყნის კონტინენტური შელდის ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვას;

ე) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარი სამმართველო პასუხისმგებელია გარემოს გაქუჩყიანების დონისადმი მეთვალყურეობისა და კონტროლის სამსახურის და წყლებისა და ატმოსფეროს გაქუჩყიანების დონის მკვეთრ ცვლილებათა შესახებ სასწრაფო ინფორმაციის ორგანიზაციისათვის;

ვ) სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტრო, აგრეთვე სხვა სამინისტროები, რომელთა გამგებლობაშიც არის ელექტროსადგურები, პასუხისმგებელი არიან იმისათვის, რომ მათმა საქვეუწყებო ელექტროსადგურებმა დაიცვან წყალსატევების ექსპლუატაციის, აგრეთვე წყალსატევებში წყლის გაშვებისა და თბოელექტროსადგურების მიერ ატმოსფეროში კვამლის გაზების გამობოლქვის წესები;

ზ) სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს ბუნებრივი გარემოს გაქუჩყიანების ლიკვიდაციისა და თავიდან აცილების ღონისძიებათა, მათ შორის მოსახლეობის სასმელი, საყოფაცხოვრებო, გამაჯანსაღებელი და სხვა საჭიროების დასაკმაყოფილებლად გამოყენებული ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების გაქუჩყიანების ლიკვიდაციისა და თავიდან აცილების ღონისძიებათა განხორციელებისადმი;

თ) სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო:

ახორციელებს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად ზედამხედველობას ქუჩების, ეზოებისა და დასახლებული პუნქტების სხვა ტერიტორიების, აგრეთვე მშრომელთა დასვენების საგარეუბნო ადგილებისა და პლაჟების მოვლის სანიტარიული წესების დაცვისადმი;

ეხმარება შესაბამის ორგანოებს ბუნებრივ სიმდიდრეთა გაქუჩყიანებისაგან დაცვის, ბრაკონიერობასთან და ნადირობისა და თევზჭერის წესების დარღვევებთან ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელებაში;

ი) სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტრო ახორციელებს კონტროლს დაშრობისა და გაქუჩყიანებისაგან მიწისქვეშა წყლების დაცვისადმი;

კ) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოედ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტი ახორციელებს კონტროლს წიაღის დაცვისადმი, სასარგებლო წიაღისეულისა და ჰიდრომინერალური რესურსების საბადოთა სწორი ექსპლუატაციისადმი.

პასუხისმგებლობა ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანებისაგან დაცვის ღონისძიებათა განხორციელების უზრუნველყოფისათვის ეკისრებათ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, საოლქო, სამხარეო და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა გააძლიერონ კონტროლი იმისადმი, რომ ყველა საწარმო და ორგანიზაცია, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, ასორციელებდეს ღონისძიებებს ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების გაუმჯობესებისათვის, აგრეთვე იმისადმი, რომ ყველა მოქალაქე მტკიცედ იცავდეს ბუნებრივი გარემოს დაცვის დადგენილ წესებს.

დაევალოთ სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარ სამმართველოს, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს განიხილონ მათი საქვეუწყებო იმ ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ფუნქციათა და მოვალეობათა დაზუსტების საკითხი, რომლებიც კონტროლს უწყვენ ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებასა და დაცვას, და შეიტანონ საჭირო ცვლილებანი დამტკიცებულ გეგმებში, აგრეთვე ამ ორგანიზაციათა და დაწესებულებათა დებულებებში.

3. დაევალოთ სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს:

უზრუნველყონ, მოყოლებული 1974 წლიდან, ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა განხორციელების პერსპექტიული და წლიური გეგმების პროექტების შემუშავება და მათი წარდგენა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების პროექტებთან ერთად.

გეგმათა აღნიშნულ პროექტებში გაითვალისწინონ საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ ბუნების დაცვისათვის განსახორციელებელი ღონისძიებანი.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უზრუნველყონ აგრეთვე, მოყოლებული 1975 წლიდან, ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, მსხვილი სამრეწველო ცენტრების ტერიტორიაზე და მთლიანად მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე ბუნების დაცვის კრებისითი პერსპექტიული და წლიური გეგმების პროექტების შემუშავება, რომლებიც გაითვალის-



წინებენ როგორც სსრ კავშირის საერთო-საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების საწარმოთა და ორგანიზაციათა, ისევე მოკავშირე რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების საქვეუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ ბუნების დაცვისათვის განსახორციელებელ ღონისძიებებს;

შეიტანონ საწარმოთა მშენებლობის პროექტებში სპეციალურ განაყოფად ჩამდინარე წყლებითა და სამრეწველო გამონაბოლქვებით გატუქყიანებისაგან წყალსატევების, ნიადაგისა და ატმოსფერული ჰაერის დაცვის ღონისძიებანი;

მიიღონ საჭირო ზომები მიწების რეკულტივაციასთან დაკავშირებულ სამუშაოთა დაჩქარებისა და გაუმჯობესებისათვის, ამასთან დროულად გადასცენ აღდგენილი მიწები კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა მიწათმოსარგებლებებს;

უზრუნველყონ მტკიცე კონტროლი საქვეუწყებო საწარმოებში ჩამდინარე წყლების საწმენდ ნაგებობათა და გაზსაწმენდ და მტვერდამჭერ ნაგებობათა დაპროექტებისადმი, მშენებლობისა და ექსპლუატაციისადმი;

გაითვალისწინონ დადგენილი წესით ქალაქებიდან ცალკეულ საწარმოთა გადატანა ან მათი საწარმოო პროფაილის შეცვლა იმ შემთხვევებში, როცა შეუძლებელია არსებითად შემცირდეს ამ საწარმოთა ყველაზე მავნე გამონაბოლქვები;

უზრუნველყონ 1973 წელს საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში ახალი ტექნოლოგიური პროცესების შექმნის და არსებულის სრულყოფის ღონისძიებათა შემუშავება და დამტკიცება იმ მიზნით, რომ შემცირდეს ჩამდინარე წყლების, ატმოსფეროში მავნე გამონაბოლქვების რაოდენობა და მათი გატუქყიანება;

გამოიკვილონ 1973 წლის 1 ივლისამდე კანალიზაციისა და ჩამდინარე წყლების გაწმენდის მდგომარეობა საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში იმ მიზნით, რომ განხორციელდეს ახალ საწმენდ ნაგებობათა საჭირო მშენებლობა ან არსებულთა რეკონსტრუქცია, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ საჭიროა მაქსიმალურად გადიდდეს საბრუნო წყალმომარაგება და დაჩქარდეს ჩამდინარე წყლების საწმენდ ნაგებობათა მშენებლობა.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან, სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტროსთან და სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშაონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ წყალსატევებში გაუწმენდელი ან არასაკმარისად გაწმენდილი და გაუგებლებული ჩამდინარე წყლების გაშვების მთლიანად შეწყვეტას, უწინარეს ყოვლისა იმ მდინარეთა აუზებში, სადაც შეიმჩნევა წყლის ღიდი გატუქყიანება ან მოსალოდნელია წყლის ბალანსის დაძაბულობა, და წარუდგინონ 1973 წელს შესაბამისი წინადადებანი სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს.

4. დაევალეთ სსრ კავშირის შავი მატალურგიის სამინისტროს, სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტროს, ქიმიური მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს განახორციელონ 1973-1975 წლების მანძილზე საქვეუწყებო საწარმოებში ღონისძიებანი ატმოსფეროში მავნე გამონახობლების შესამცირებლად № 1 დანართის თანახმად.

5. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა სსრ კავშირის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშაონ და განახორციელონ 1973-1977 წლებში ღონისძიებანი მოქმედ საწარმოებში გაზსაწმენდი და მტვერდამჭერი დანადგარების რეკონსტრუქციისა და მშენებლობისათვის ქალაქებში ატმოსფერული ჰაერის მეტისმეტი გაზუქვიანების სალიკვიდაციოდ № 2 დანართის თანახმად.

სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა გაითვალისწინონ საჭირო კაპიტალური დაბანდებების გამოყოფა აღნიშნულ ღონისძიებათა განსახორციელებლად.

6. დაეკისროს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს:

შეიმუშაოს მეთოდური მითითებანი, მაჩვენებლებისა და ფორმების ნუსხა ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და ბუნების დაცვის სახელმწიფო გეგმების შესადგენად, ამასთან მხედველობაში იქონიოს, რომ, მოყოლებული 1974 წლიდან, ასეთი გეგმები უნდა წარმოადგენდნენ სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული და წლიური გეგმების შემადგენელ ნაწილს;

განიხილოს სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ შემოტანილი წინადადებანი ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და ბუნების დაცვის საკითხებზე;

დამტკიცოს წყლების კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემები, აგრეთვე საერთო-საკავშირო მნიშვნელობის წყალსამეურნეო ბალანსები;

წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებული წინადადებანი იმ წყლის ობიექტების განსაზღვრის შესახებ, რომელთა გამოყენების რეგულირებას მიზანშეწონილია ახორციელებდნენ სსრ კავშირის ორგანოები;

უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიური რაიონების საწარმოო ძალთა განვითარებისა და განლაგების გენერალური სქემების შემადგენლობაში ბუნების დაცვის სპეციალურ ღონისძიებათა შემუშავება.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა შექმნას ცენტრალური აპარატის შემადგენლობაში ბუნების დაცვის განყოფილება.

7. დაეკისროს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს:

შეიმუშაოს შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად და დამტკიცოს ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და ბუნების და-





ცვის მეცნიერულ საფუძვლებში გამოკვლევის გეგმები. ამ გეგმების შემუშავებისას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს თვისებრივად ასალ ისეთ ტექნოლოგიურ პროცესებზე გადასვლის უზრუნველყოფას, რომლებიც შესაძლებლობას იძლევიან ბუნებრივი რესურსების უფრო რაციონალურად გამოყენებისათვის და ამცირებენ უარყოფით ზემოქმედებას გარემოზე;

კოორდინაცია გაუწიოს სამეცნიერო დაწესებულებათა საქმიანობას ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და ბუნების დაცვის უმნიშვნელოვანეს პრობლემათა შემუშავებისათვის;

უზრუნველყოს გეგმებით გათვალისწინებული ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და ბუნებრივი გარემოს დაცვის უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა დაფინანსება, აგრეთვე კონტროლი მათი შესრულებისადმი.

შეიმუშაოს პროგნოზები ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და ბუნებრივი გარემოს დაცვის საკითხებზე.

8. ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და ბუნებრივი გარემოს დაცვის დარგში უმნიშვნელოვანესი მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების გადასაჭრელად სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოთა ორგანიზაციისა და კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით:

ა) დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახმშენს, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარ სამმართველოს სსრ კავშირის დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით შეიმუშაონ 1973-1974 წლებში სახალხო მეურნეობის დარგთა განვითარების შედეგად ბიოსფეროში შესაძლო ცვლილებათა მეცნიერულ-ტექნიკური პროგნოზი 20-30 წლის პერსპექტივისათვის, ამასთან გაითვალისწინონ მასში ბუნებრივი გარემოზე სამეურნეო საქმიანობის უარყოფითი ზემოქმედების მაქსიმალურად თავიდან აცილების, აგრეთვე მეცნიერული კვლევის განვითარების ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ბუნებრივი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების უმნიშვნელოვანეს პრობლემათა გადაჭრას.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ დაინტერესებულ სამინისტროთა და უწყებათა სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან ერთად 1973 წელს შეიმუშაოს უმნიშვნელოვანეს სახეობათა ბუნებრივი რესურსების გამოყენების ეკონომიური შეფასების მეთოდიკა;

ბ) დაწესდეს, რომ: ბუნებრივი გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის დარგში უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო-ტექნიკურ პრობლემათა გადაჭრის დაავალბანი სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა და სახალხო

მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა გამოყენების სახელმწიფო ხუთწლიან გეგმაში გამოიყოფა სპეციალურ კარად (პროგრამად) „ბუნებრივი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების კომპლექსური პრობლემები“;

ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და ბუნებრივი გარემოს დაცვის დარგში უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო-ტექნიკურ პრობლემათა გადაჭრის სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა განსახორციელებლად გამოყოფილი ასიგნებანი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა სამუშაოებისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თანხმობის გარეშე;

გ) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად შექმნას კომიტეტთან ბუნებრივი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების კომპლექსურ პრობლემათა შესწავლელი საუწყებო-შორისო სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო.

დაეკისროს აღნიშნულ საუწყებო-შორისო სამეცნიერო-ტექნიკურ საბჭოს: გააანალიზოს სსრ კავშირში და საზღვარგარეთ ბუნებრივი გარემოს დაცვის თანამედროვე მდგომარეობა;

შეიმუშაოს სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით წინადადებანი, რომლებიც მიზნად დაისახავენ ბუნებრივი რესურსების გამოყენების გაუმჯობესებას, განახლებადი ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებასა და კვლავწარმოებას და ბუნებრივი გარემოს დაცვას;

განიხილოს ბუნებრივი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების დარგში კონტროლისა და ზედამხედველობის საკითხები და შეიმუშაოს წინადადებანი მათი გაუმჯობესებისათვის;

განიხილოს წინადადებანი ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და კვლავწარმოების, ბუნებრივი გარემოს დაცვის და მისი გაჭუჭყიანების ღონისადმი კონტროლის ნორმებისა და წესების დასადგენად;

განსაზღვროს ძირითადი სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემები ბუნებრივი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების დარგში, შეიმუშაოს სამინისტროთა, უწყებათა და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციათა მონაწილეობით მათი გადაჭრის სამუშაოთა საკოორდინაციო გეგმები, აგრეთვე განიხილოს ამ სამუშაოთა კვლევისა და დაფინანსების მოცულობის წლიური გეგმები;

მეთოდური ხელმძღვანელობა გაუწიოს სსრ კავშირის სამინისტროთა და უწყებათა მიერ ახალი ტექნოლოგიური პროცესების დარგში განხორციელებულ სამუშაოებს, რომლებიც საშუალებას იძლევიან გამოირიცხოს ან მკვეთრად შემცირდეს მავნე გამონაბოლქვები წყალსატევებში, ატმოსფეროსა და ნიადაგში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ 3 თვის ვადაში დაამტკა-



კონ ზემოაღნიშნული საუწყებათაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოებზე და შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით მისაპერსონალური შემადგენლობა:

დ) სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა უზრუნველყონ:

მატერიალური და ფინანსური რესურსების გამოყოფა, რომლებიც საჭიროა საკოორდინაციო გეგმებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისათვის მიწების, წყლისა და ტყის რესურსების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის, მავნე სამრეწველო ნარჩენებითა და ავტომობილის ძრავის გამოწვეული ზარალით გაჭუჭყიანებისაგან ატმოსფერული ჰაერის დაცვის, ეროზიისა და დამლაშებისაგან ნიადაგების დაცვის გაუმჯობესების, შინაგანი წყალსატევების თევზის პროდუქტიულობის ამაღლების, ადამიანისა და ცხოველთათვის უსაშიშრო ახალი ქიმიური პრეპარატების შექმნისა და წარმოების ათვისების, გარემოს გაჭუჭყიანების აღმოსაფხვრელი ტექნოლოგიის შექმნის, ნაოსნობის შედეგად ზღვის გაჭუჭყიანების დაუშვებლობის, ზღვაში ნავთობის მნიშვნელოვანი ავარიული დაღვრის შედეგების ლიკვიდაციის დარგში ძირითად სამეცნიერო-ტექნიკურ პრობლემათა გადასაჭრელად და ბუნებრივი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების დარგში სხვა ძირითად სამეცნიერო-ტექნიკურ პრობლემათა გადასაჭრელად;

სისტემატური კონტროლი ამ სამუშაოთა შესრულებისადმი.

9. დაწესდეს, რომ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლებით გათვალისწინებულ წყლების გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანოთა ფუნქციებს ასრულებენ შესაბამისად სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო, მოკავშირე რესპუბლიკების ამავე სახელწოდების სამინისტროები და მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სხვა საკავშირო-რესპუბლიკური ორგანოები, მათდამი დაქვემდებარებული წყლების გამოყენების რეგულირებისა და დაცვის სააუზო (ტერიტორიული) სამმართველოები და ინსპექციები, აგრეთვე სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სისტემის სხვა ადგილობრივი ორგანოები.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის სახმომარაგებამ სახალხო-სამეურნეო გეგმების შემუშავებისას გაითვალისწინონ, რომ საჭიროა გამოუყონ სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს წყლების გამოყენების რეგულირებისა და დაცვის სააუზო (ტერიტორიული) სამმართველოებისა და ინსპექციებისათვის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარ სამმართველოს — ბუნებრივი გარემოს გაჭუჭყიანების დონისადმი მეთვალყურეობის სამსახურისათვის, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს — სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურისათვის და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს — სახელმწიფო ვეტერინარული სამსახურის ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის საჭირო ავტოტრანსპორტი, მოძრავი ლაბორატორიები, საცურავი საშუალებანი, მოწყობილობა და ინვენტარი.

10. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარმა სამმართველომ:

მოაწყოს ფიზიკური, ქიმიური და ჰიდრობიოლოგიური (წყლის ობიექტებისათვის) მაჩვენებლების მიხედვით ატმოსფეროს, ნიადაგისა და წყლის ობიექტების გაჭუჭყიანების დონისადმი მეთვალყურეობისა და კონტროლის და ატმოსფეროს, ნიადაგისა და წყლების გაჭუჭყიანების დონის მკვეთრ ცვლილებათა თაობაზე სასწრაფო ინფორმაციის საერთო-სახელმწიფოებრივი სამსახური;

უზრუნველყოს დაინტერესებული ორგანიზაციები და დაწესებულებები, სისტემატური ინფორმაციებითა და პროგნოზებით ატმოსფეროს, ნიადაგის, წყლის ობიექტების გაჭუჭყიანების დონის და სამეურნეო საქმიანობისა და ჰიდრომეტეოროლოგიური პირობების ზეგავლენით მისი ცვლილების შესაძლებლობის შესახებ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარ სამმართველომ შექმნას ცენტრალური აპარატის შედგენლობაში გარემოს გაჭუჭყიანების შესწავლისა და კონტროლის სამმართველო.

11. შემოღებულ იქნეს 1973 წლის 1 ივლისიდან წყლებისა და მათი გამოყენების სახელმწიფოებრივი აღრიცხვა სსრ კავშირისათვის ერთიანი სისტემის მიხედვით.

წყლების აღრიცხვა და სახელმწიფო წყლის კადასტრის წარმოება დაეკისროს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარ სამმართველოს სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროსთან (მიწისქვეშა წყლების დარგში) და სსრ კავშირის მელოორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან (წყლის მოხმარებისა და განაწილების აღრიცხვის ნაწილში) ერთად.

12. დავალოთ სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს საწარმოთა და ნაგებობათა დაპროექტების დავალებათა შედგენისას გაითვალისწინონ მათში იმ ღონისძიებათა შემუშავების მოთხოვნები, რომლებიც გამორიცხავენ დასაპროექტებელი საწარმოს ან ნაგებობის უარყოფითი ზემოქმედების შესაძლებლობას ბუნებრივ გარემოზე; ახალ ტექნოლოგიურ პროცესთა დაპროექტების დავალებათა შედგენისას გაითვალისწინონ მოთხოვნები მავნე ნარჩენებითა და ჩანადრებით ატმოსფეროს, წყალსატევებისა და ნიადაგის გაჭუჭყიანების მკვეთრი შემცირების ან მთლიანად აღმოფხვრისათვის; ახალ საწარმოთა და ნაგებობათა მშენებლობისა და მოქმედთა რეკონსტრუქციის ტექნიკური (ტექნიკურ-სამუშაო) პროექტების დამტკიცებისას უზრუნველყონ ამ მოთხოვნების დაცვა.

სსრ კავშირის სახმუნმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა ახალ საწარმოთა და ნაგებობათა მშენებლობისა და მოქმედთა რეკონსტრუქციის პროექტების ექსპერტიზის დროს უზრუნველყონ მათში ბუნებრივი გარემოს დაცვის მოთხოვნების შესრულების შემოწმება.

13. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა: დააწესონ 1973-1974 წლებში მწვანე ზონების საზღვრები (გამოჰყონ მათი ტყეპარკთა ტერიტორიები და მოსახლეობის ხანგრძლივი და ხანმოკლე დასვენების ადგილები) ქალაქებისათვის, სადაც ასეთი ზონები ჯერ კიდევ არ არის დაწესებული, აგრეთვე ტყეების წყალდამცავი ზონებისა და წყლის წყაროების სანიტარიული დაცვის ზონების საზღვრები;

უზრუნველყონ 1973-1980 წლებში სამუშაოთა განხორციელება ქალაქებსა და საგარეუბნო ზოლებში მწვანე ნარგავების ფართობის გასაზიადებლად (ახალი პარკების, ბაღების, სკვერების, ხეივანების, დამცავი მწვანე ზონებისა და ტყეპარკების შექმნა, განსაკუთრებით რეკულტივირებულ მიწებზე);

მკაცრად შეზღუდონ მიწის ნაკვეთების გამოყოფა ქალაქების მწვანე ზონების ტყეებში, ტყის დამცავ ზოლებსა და პირველი ჯგუფის სხვა ტყეებში იმ მიზნისათვის, რაც დაკავშირებული არაა სატყეო მეურნეობის განვითარებასთან;

მომაზადონ სსრ კავშირის სახმშენთან არსებული სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და საკავშირო პროფსაბჭოს წინადადებათა საფუძველზე და დაამტკიცონ მკურნალობის, დასვენებისა და ტურიზმის ზონების მოსაწყობად სარეზერვო ტერიტორიების ნუსხა და საზღვრები, აგრეთვე ამ ტერიტორიების ექსპლუატაციის წესები;

მიიღონ საცავი ზოლებსა და სხვა მერქნიანი ნარგავების დაცვა, რომლებიც არ შედის სახელმწიფო ტყის ფონდის შემადგენლობაში, დაეკისროთ იმ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომელთა მიწებზეც ისინი მდებარეობენ;

მიიღონ საჭირო ზომები ტყეებში და ტორფის საბადოებზე ხანძრის თავიდან აცილებისათვის.

14. სსრ კავშირის ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ, სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებიც ეწევიან მერქნის დამზადებასა და დატურებას, აგრეთვე მის გადამამუშავებას, მიიღონ საჭირო ზომები მერქნის დამზადების გასაუმჯობესებლად და დანაკარგების შესამცირებლად, ხოლო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა გააძლიეროს კონტროლი იმისადმი, რომ ხე-ტყის დამამზადებელი ორგანიზაციები და საწარმოები სწორად აწარმოებდნენ ტყის ჭრას და რაციონალურად იყენებდნენ მათთვის გამოყოფილ ტყესაკავ ფონდს.

15. მოპოვებისა და გადამამუშავების დროს სასარგებლო წიაღისეულის და ნაკარგების შემცირების, აგრეთვე წარმოების ნარჩენებით გარემოს გატუშყიანების თავიდან აცილების მიზნით:

ა) დაევალოთ სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტროს, სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს, სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს, ქიმიური მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის



საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს, ნავთობის მრეწველობის სამინისტროს, გაზის მრეწველობის სამინისტროს და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებულ და გადამამუშავებულ სხვა სამინისტროებს დაუმტკიცონ 1973 წელს ყველა საქვეუწყებო საწარმოს ღონისძიებათა გეგმები, რომლებიც გაითვალისწინებენ:

სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავების ყველაზე ეფექტიანი სერებებისა და სისტემების და მინერალური ნედლეულის გადამამუშავების ტექნოლოგიური სქემების დანერგვას, რაც უზრუნველყოფს წიაღიდან ძირითადი და მასთან ერთად სასარგებლო წიაღისეულის მარაგის რაც შეიძლება სრულ, კომპლექსურ და ეკონომიურად მიზანშეწონილ ამოღებას, აგრეთვე მასში შემავალ სამრეწველო მნიშვნელობის კომპონენტთა გამოყენებას;

ნედლეულის, ნაყარისა და წიღების კომპლექსური გადამამუშავების საამქროების, ფაბრიკების, დანადგარების მშენებლობას ან რეკონსტრუქციას, ამ მიზნით კაპიტალურ დაბანდებათა გამოყოფას, აღნიშნულ საწარმოთა ისეთ მუშაობაზე გადასვლის დამთავრების ვადების განსაზღვრას, რომელიც უზრუნველყოფს სასარგებლო წიაღისეულის კომპლექსურ გამოყენებას;

ბ) დაევალოთ ქიმიური მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტროს, ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს დაამზადონ და დროულად მიაწოდონ სამთომომპოვებელ საწარმოებს საჭირო ასორტიმენტის მაღალხარისხოვანი საფლოტაციო რეაგენტები, სორბენტები და ექსტრაგენტები, რომლებიც საშუალებას იძლევიან განხორციელდეს ძვირფასი კომპონენტების მთლიანად ამოღება მინერალური ნედლეულის გამდიდრების დროს.

16. დაეკისროს ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს:

აწარმოოს და კომპლექტურად მიაწოდოს სამინისტროებსა და უწყებებს გაზსაწმენდი და მტვერდამჭერი მოწყობილობა და აპარატურა;

უზრუნველყოს ახალი, უფრო სრულყოფილი მოწყობილობისა და აპარატურის წარმოება მავნე გაზებისაგან, მტერისაგან, მურისა და სხვა ნივთიერებებისაგან ატმოსფეროში სამრეწველო გამონაბოლქვების გასაწმენდად;

განახორციელოს სათანადო მეცნიერული კვლევა და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები სამრეწველო გამონაბოლქვებით გაჭუჭყიანებისაგან ატმოსფერული ჰაერის დაცვისათვის უფრო სრულყოფილი მოწყობილობისა და აპარატურის შესაქმნელად;

განახორციელოს საწარმოებში, ორგანიზაციებში და დაწესებულებებში გაზსაწმენდი და მტვერდამჭერი მოწყობილობისა და აპარატურის შეფარება და გამართვა;

განახორციელოს სახელმწიფო კონტროლი გაზსაწმენდი და მტვერდამჭერი დანადგარების მუშაობისადმი სამრეწველო საწარმოებში, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა.



ამასთან დაკავშირებით გადაეცეს ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს გამგებლობაში სსრ კავშირის ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტროს სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკავზწმენდა“ მისდამი დაქვემდებარებულ ყველა საწარმოსთან და ორგანიზაციასთან ერთად. გადაეცემა მოხდეს 1972 წლის 1 ივლისის მდგომარეობით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 12 ოქტომბრის № 755 დადგენილებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

საჭიროდ ჩაითვალოს, რომ შეიქმნას ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს შემადგენლობაში გადაცემული სრულიად საკავშირო „საკავზწმენდის“ ბაზაზე გახსაწმენდი და მტვერდამჭერი მოწყობილობის დამამუშავებისა და წარმოების მთავარი სამმართველო („მთავარგავზწმენდა“), რომელსაც დაექვემდებაროს გახსაწმენდი და მტვერდამჭერი დანადგარების მუშაობისადმი კონტროლის სახელმწიფო ინსპექცია. გადიდდეს ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის რიცხოვნობა 70 ერთეულით მისთვის გადაცემული სრულიად საკავშირო გაერთიანების „საკავზწმენდის“ მუშაკთა საშტატო რიცხოვნობის ხარჯზე.

დაწესდეს, რომ ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს შემადგენლობაში „მთავარგავზწმენდის“ შექმნა არ ამცირებს სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების პასუხისმგებლობას მავნე ნივთიერებებით გაჭუჭყიანებისაგან ატმოსფერული ჰაერის დაცვის საჭირო ღონისძიებათა განხორციელებისათვის.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა განიხილოს საკითხი ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს შემადგენლობაში ზემოაღნიშნული მთავარი სამმართველოს შექმნასთან დაკავშირებით ამ სამინისტროსათვის დახმარების გაწვევის ღონისძიებათა შესახებ.

17. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტრომ წარმოუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სახმშენთან შეთანხმებით წინადადებანი იმის შესახებ, რომ ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს გამგებლობაში გადაეცეს სსრ კავშირის იმ სამინისტროთა და უწყებათა საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც ეწევიან გახსაწმენდი და მტვერდამჭერი მოწყობილობისა და აპარატურის დამზადებას, აგრეთვე გაჭუჭყიანებისაგან ატმოსფერული ჰაერის დაცვასთან დაკავშირებულ სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო-საკონსტრუქტორო და გასაშვებ-გასამართავ სამუშაოებს.

18. ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტრომ, სსრ კავშირის მიიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტრომ, სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტრომ და უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭომ უზრუნველყონ საწარმოებისა და სხვა ობიექტების მშენებლობა № 3 დანართის თანახმად.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს სახალხო-სამეურნეო გეგმებში ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტროსათვის № 3 დანართში აღნიშნული ობიექტების მშენებლობისათვის

საჭირო კაპიტალურ დაბანდებათა გამოყოფა იმ კაპიტალურ დაბანდებთან, სარჯზე, რაც გათვალისწინებულია ამ წლებში ხუთწლიანი გეგმით სსრ კავშირის ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტროს ხაზით.

19. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტრომ სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროსთან, ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროსთან, ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტროსთან და სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან ერთად შეიმუშაოს და განახორციელოს მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევების შესაბამისი გახსნაწმენდი და მტვერდამჭერი მოწყობილობისა და აპარატურის წარმოების გადიდების ღონისძიებანი იმ ვარაუდით, რომ, მოყოლებული 1976 წლიდან, მთლიანად დაკმაყოფილდეს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება აღნიშნულ მოწყობილობასა და აპარატურაზე.

20. აეკრძალოთ სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს შეცვალონ ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტროსთან შეუთანხმებლად საქვეუწყებო საწარმოებში გახსნაწმენდი და მტვერდამჭერი დანადგარებისათვის საჭირო მოწყობილობის, ნაკეთობათა, მასალებისა და სათადარიგო ნაწილების წარმოების ნომენკლატურა და მოცულობა.

21. გახსნაწმენდისა და მტვერდაჭერის დარგში სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოთა ორგანიზაციის გაუმჯობესების და ამ სამუშაოთა კოორდინაციის გაძლიერების მიზნით დაეკისროთ მეთაური ორგანიზაციის ფუნქციები:

გახსნაწმენდ ნაგებობათა პროექტების შემუშავების დარგში — ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს გახსნაწმენდ ნაგებობათა საპროექტო სახელმწიფო ინსტიტუტს;

გახსნაწმენდისა და მტვერდაჭერის პრობლემათა, აგრეთვე სამრეწველო ნარჩენებიდან ძვირფასი პროდუქტების ამოღების პრობლემათა დამუშავების დარგში — ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს გაზების სამრეწველო და სანიტარიული გაწმენდის სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს;

ავტომობილისა და შიდაწვის სხვა ძრავების გამონაბოლქვი გაზების ტოქსიკურობის შემცირების დარგში — სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს ძრავების ტოქსიკურობის ცენტრალურ სამეცნიერო-კვლევით და საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიურ ლაბორატორიას;

ავტომობილის მცირეტოქსიკური ძრავების შექმნის დარგში — საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს ცენტრალურ სამეცნიერო-კვლევით საავტომობილო და ავტოსამოტორო ინსტიტუტს.

22. მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებულმა „მთავარმოსკოვმშენმა“ უზრუნველყოს 1974 წელს ქ. მოსკოვში, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო მანქანათსაშენებელ ქარხანაში 15 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფა-



რობის ლ.პორატორიულ-ექპერიმენტული და საწარმოო კორპუსის მშენებლობის დამთავრება ამ სამინისტროს ძრავების ტოქსიკურობის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ლაბორატორიისათვის.

სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრომ მოაწყოს, მოყოლებული 1975 წლიდან, აღნიშნულ კორპუსში საავტომობილო ძრავების გამონაბოლქვ გაზებში არსებულ მავნე ნივთიერებათა სანეიტრალიზაციო აპარატების სერიული გამოშვება.

23. ქიმიური მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტრომ, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტრომ, სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტრომ და სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტრომ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარ სამმართველოსთან შეთანხმებით შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი მათ საქვეუწყებო მოქმედ სამრეწველო საწაროებში ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა გამონაბოლქვების შემცირებისათვის, რათა თავიდან იქნეს აცილებული ატმოსფერული ჰაერის გაქუჩყიანების საშიში კონცენტრაციები საწარმოთა განლაგების რაიონებში არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების დროს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარმა სამმართველომ და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ შეიმუშაონ მოსალოდნელ არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებთან დაკავშირებით ატმოსფეროში გაქუჩყიანების კონცენტრაციის შესაძლო გადიდების თაობაზე ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისა და სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელების გაფრთხილების წესი.

24. საავტომობილო მრეწველობის სამინისტრომ, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრომ და რუსეთის სფსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით შეიმუშაონ 1973-1974 წლებში და წარუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტს სტანდარტების პროექტები, რომლებიც აწესებენ გამონაბოლქვ გაზებში ტოქსიკურ კომპონენტთა შემცველობის ზღვრულად დასაშვებ ნორმებს ახლად შესაქმნელი და ექსპლუატაციაში მყოფი ავტომობილებისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტმა განიხილოს და დაამტკიცოს აღნიშნული სტანდარტები.

25. დაევალოს სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს საავტომობილო მრეწველობის სამინისტროსთან ერთად შეიმუშაოს, დაამზადოს და გამოსცადოს 1974 წელს ავტომობილის ძრავების გამონაბოლქვ გაზებში არსებულ მავნე ნივთიერებათა სანეიტრალიზაციო აპარატების მასობრივი გამოშვებისათვის გამოსადეგი ეფექტიანი კონსტრუქციები და მოაწყოს 1975 წელს ასეთი აპარატების სერიული წარმოება.

26. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა და სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით შეიმუშაონ და განახორციელონ 1973-1975 წლებში ლონისძიებანი ექსპლუატაციაში მყოფი ავტომობილების ძრავების გამონაბოლქვი გაზების ტოქსიკურობის შესამცირებლად და დაწესებულ ნორმებამდე მის დასაყვანად, ამასთან კერძოდ, მხედველობაში იქონიონ, რომ მოაწყონ დიდ ქალაქებსა და ქალაქ-კურორტებში საკონტროლო-სარეგულირებელი პუნქტების სათანადო ქსელი.

27. ხელსაწყომშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტრომ შეიმუშაოს ავტომობილის ძრავების გამონაბოლქვ გაზებში ნახშირბატიანი ნახშირბატი და სხვა მავნე ნივთიერებათა შემცველობის საკონტროლო-საზომი აპარატურის კონსტრუქციები და მოაწყოს, მოყოლებული 1974 წლიდან, ამ გაზებში ნახშირბატიანი ნახშირბატი შემცველობის საკონტროლო აპარატურის სერიული წარმოება მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების განაცხადების საფუძველზე შესაბამისი ოდენობით.

საავტომობილო მრეწველობის სამინისტრომ და სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრომ მისცენ 1973 წლის 1 აპრილამდე ხელსაწყომშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტროს აღნიშნული აპარატურის შესაქმნელად შეთანხმებული ტექნიკური მოთხოვნები.

28. წყალსატევებში მცენარეულობის თევზების ფართო მოშენების უზრუნველყოფის მიზნით, რაც საშუალებას იძლევა გაუმჯობესდეს წყალსატევების ბიოლოგიური გაწმენდა წყლის რესურსებისათვის საზიანო წყალმცენარეებისა და სხვა მცენარეულობისაგან და ამავე დროს გამოყენებულ იქნეს წყალსაცავებში დაგროვილი დიდძალი ბიოგენური ნივთიერებანი:

ა) სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტრომ, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭომ, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭომ, უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭომ და აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭომ:

მიიღონ ზომები მცენარეულობის თევზების მოსაშენებლად, უწინარეს ყოვლისა, დნებრის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის წყალსაცავებში, ვოლგოგრადის, კუბიშევისა და ციმლიანსკის წყალსაცავებში, და მოზარდული სქელშუბლას გამოზრდის გასადიდებლად მოქმედ თევზსაშენებში, აგრეთვე გაითვალისწინონ სქელშუბლას მოშენება ზონალური თევზსაშენებისა და ქვირითსაყრელ მეურნეობათა დაპროექტებისა და მშენებლობის დროს;

განსაზღვრონ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროსთან და სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან ერთად მოთხოვნილება მცენარეულობის თევზთა საშენების მშენებლობაზე წყალსაცავების ბიოლოგიური მელიორაციის, საირიგაციო სისტემებისა და წყალსატევების — თბოელექტროსადგურების საცივარების ამოშლადამებასთან ბრძოლის მიზნით და წინადადებანი ამ საკითხზე წარუდგინონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს 1973 წლის პირველ ნახევარში;

ბ) სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ და სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტრომ უზრუნველყონ 1973-1978 წლებში მცენარეჭამია თევზთა საშენების დაპროექტება, მშენებლობა და საექსპლუატაციოდ გადაცემა სულ 383 მილიონი ლიდსიტისათვის წელიწადში № 4 დანართის თანახმად.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგვემო კომიტეტმა გაითვალისწინოს გეგმებში სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტროსათვის № 4 დანართში აღნიშნული თევზსაშენების ასაგებად კაპიტალურ დაბანდებათა დამატებით გამოყოფა 23 მილიონი მანეთის ოდენობით იმ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე, რაც გაითვალისწინებულია ხუთწლიანი გეგმით სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროსა და სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსათვის;

გ) სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტრომ, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა წყალსაცავების რეკონსტრუქციისა და მშენებლობისას განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი წყალსატევების ბიოლოგიური მელიორაციის უზრუნველსაყოფად;

დ) სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშაოს 1973 წელს სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროსთან შეთანხმებით და განახორციელოს 1974 წლის ბოლომდე ღონისძიებანი სპეციალიზებული თევზსაშენის შესაქმნელად ერთ-ერთი ელექტროსადგურის თბილი გასაშვები წყლების გამოყენებით, სადაც შეისწავლიან და მოაშენებენ თევზის მეურნეობისა და წყალსატევების მელიორაციისათვის ახალ პერსპექტიულ სახეობათა თევზებს ტროპიკული და სუბტროპიკული იქთიოფაუნის შემადგენლობიდან;

ე) სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ: გადაჭრას საკითხი ბიოლოგიური მელიორაციის პროცესთა შესასწავლ საცდელ-სამრეწველო წყალსატევად კრემენჩუგის წყალსაცავის გამოყენების შესახებ, ამასთან მხედველობაში იქონიოს, რომ აღნიშნული წყალსაცავის ექსპლუატაციასა და მისი წყლის რესურსების გამოყენებას სამინისტროები და უწყებები უნდა ახორციელებდნენ სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით;

ააშენოს 1973-1974 წლებში ქ. აშხაბადის რაიონში საწარმოო-სამელიორაციო ბაზა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისათვის საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების გასაწმენდად მცენარეჭამია თევზების გამოყენების დარგში;

ვ) სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტრომ ააშენოს 1973-1974 წლებში ბურშტის მცენარეჭამია თევზების საშენი იმ ზარალის საკომპენსაციოდ, რასაც ბურშტის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მშენებლობა აყენებს თევზის მეურნეობას.

29. მცენარეთა მავნებლებთან, დაავადებებთან, სარეველებთან, აგრეთვე მავნე მწერებთან და მღრღნელებთან ბრძოლისათვის გამოყენებული შხამქიმიკატებით ნიადაგის, წყალსატევებისა და გარემოს სხვა ობიექტების გაჭუჭყიანების თავიდან აცილების მიზნით:

ა) სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უზრუნველყონ, რომ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, აგრეთვე მოქალაქენი მტკიცედ იცავდნენ შხამქიმიკატების გამოყენების დადგენილ წესებს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარმა სამმართველომ უზრუნველყოს მეთვალყურეობა შხამქიმიკატების გამოყენების შედეგად ბუნებრივ გარემოში მომხდარი ცვლილებებისადმი;

ბ) სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშაოს დანტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად და დაამტკიცოს 1973 წელს მცენარეთა ძირითადი მავნებლებისა და დაავადებების განვითარების წინააღმდეგ ბრძოლის რეკომენდაციები;

გ) დაწესდეს, რომ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სატყეო მეურნეობებს და სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს შხამქიმიკატები უნდა მიეყიდოთ, მოყოლებული 1973 წლიდან, მხოლოდ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის მცენარეთა დაცვის სამსახურების ადგილობრივი ორგანოების დასკვნებით, რომ მიზანშეწონილია განხორციელდეს ნათესების, ნარგავების, წყალსატევებისა და ტყეების ქიმიური დამუშავება;

დ) დაწესდეს, რომ ახალი შხამქიმიკატების შემუშავებისას შესაბამის სამინისტროთა და უწყებათა სამეცნიერო-კვლევითმა ორგანიზაციებმა უნდა შეიმუშაონ წყალში, ატმოსფერულ ჰაერში, ნიადაგში, აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქციაში ამ საშუალებათა ნარჩენი ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;

ე) სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარმა სამმართველომ, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, მოყოლებული 1973 წლიდან, საქვეუწყებო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა ძალებით სისტემატურად შეისწავლონ შხამქიმიკატების გავლენა წყლის ორგანიზმებზე და განსაზღვრონ თევზსამეურნეო წყალსატევებში მათი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები.

30. ქალაქების, საგარეუბნო ზონების, მუშათა დაბებისა და სასოფლო დასახლებული პუნქტების სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა:

განიხილონ წყალსადენების, საკანალიზაციო და საწმენდ ნაგებობათა მშენებლობის მდგომარეობა ქალაქებსა და მუშათა დაბებში და მიიღონ საჭირო ზომები მათი უცილობლივ ამოქმედებისათვის დაწესებულ ვადებში.

დაწესდეს, რომ წყალსადენებისა და კანალიზაციის საწმენდი ნაგებობანი უნდა დაპროექტდეს ქალაქებისა და მუშათა დაბების განვითარების პერსპექტივის გათვალისწინებით. ამ ნაგებობათა მშენებლობა და საექსპლუატაციოდ გადაცემა უნდა განხორციელდეს ეტაპების მიხედვით, ამასთან უზრუნველყოფილ იქნეს გაწმენდის საჭირო ტექნოლოგიური კომპლექსი;

უზრუნველყონ 1973-1974 წლებში საჭირო ღონისძიებათა განხორციელება, რათა ქალაქების, სამრეწველო ცენტრებისა და საკურორტო ზონების მახლობლად არსებული საყოფაცხოვრებო ღია ნაგავსაყრელები მოეწყოს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული სანიტარული წესების შესაბამისად;

შეიმუშაონ ნაგავგადასამუშავებელი და ნაგავსაწვავი ქარხნების მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაცია და უზრუნველყონ, მოყოლებული 1974 წლიდან, ასეთი ქარხნების მშენებლობა დიდ ქალაქებსა და საკურორტო ზონებში;

შეიმუშაონ და განახორციელონ 1973-1975 წლებში ღონისძიებანი დიდ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში სამრეწველო ნარჩენების ცენტრალიზებული შეგროვების, გატანისა და გაუვნებლების უზრუნველსაყოფად, ამასთან ჩააბან აღნიშნულ ღონისძიებათა შესრულებაში სსრ კავშირის შესაბამის სამინისტროთა და უწყებათა საწარმოები.

დაევალოთ სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტროს, მძიმე, ენერგეტიკული და სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს (მათი დარგობრივი სპეციალიზაციის შესაბამისად) და სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს განახორციელონ 1973-1975 წლებში ქ. მოსკოვისა და ლენინგრადის ნაგავგადასამუშავებელი და ნაგავსაწვავი ქარხნების საცდელი ექსპლუატაციის შედეგების გათვალისწინებით და რუსეთის სფსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ტექნიკური მოთხოვნების მიხედვით ასეთი ქარხნების მოწყობილობის დამუშავება და სერიული წარმოების ათვისება.

მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა უზრუნველყოს 1973 წელს ქ. მოსკოვში საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადასამუშავებელი საცდელი ქარხნის ტერიტორიაზე (ვარშავის გზატკეცილი, 63 ბ) კ. დ. პამფილოვის სახელობის კომუნალური მეურნეობის აკადემიის საყოფაცხოვრებო ნაგვის გასაუვნებელ-გადასამუშავებელი წელიწადში 13500 კუბური მეტრის მოცულობის ექპერიმენტული ლაბორატორიის მშენებლობის დამთავრება.

31. დაევალოს სსრ კავშირის სახმშენს:

გააძლიეროს მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების, აგრეთვე წყალმომარაგების, კანალიზაციის, ჩამდინარე

წყლების გაწმენდისა და გაუვნებლების ნაგებობათა და ატმოსფეროში მავნე გამონაბოლქვების საწმენდ ნაგებობათა დაპროექტებისა და მშენებლობის ნორმატიული დოკუმენტების შემუშავებისა და გადასინჯვისადმი, ამასთან გაითვალისწინოს მოწინავე საბჭოური და საზღვარგარეთული გამოცდილება დაპროექტებასა და მშენებლობაში, გარემოს მაქსიმალური გაჯანსაღების საჭიროება ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში და ჩამდინარე წყლებისა და ატმოსფეროში სამრეწველო გამონაბოლქვების რაოდენობის შემცირების აუცილებლობა საწმენდ ნაგებობათა მშენებლობის ღირებულების შემცირებასთან ერთად;

შეიმუშაოს სსრ კავშირის დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით და დამტკიცოს სამუშაოთა პროგრამა და მოცულობანი, აღნიშნული ნორმატიული დოკუმენტების შემუშავებისა და დამტკიცების ვადები;

განამტკიცოს წყალთა მეურნეობისა და გეოლოგიის სრულიად საქავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფილიალების არსებული საწარმოო-ტექნიკური ბაზა მოკავშირე რესპუბლიკებში.

ნება დაერთოს სსრ კავშირის სახმშენს გააფართოოს წყალთა მეურნეობისა და გეოლოგიის სრულიად საქავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპერიმენტული ბაზა მოსკოვის ოლქის დაბა კუჩინოში, ააშენოს მის ტერიტორიაზე 7 ათას კვადრატულ მეტრამდე საერთო ფართობის ლაბორატორიული კორპუსი და 3,6 ათას კვადრატულ მეტრამდე ფართობის ექსპერიმენტული პაილიონი.

32. დაევალოთ სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს საწარმოთა და ნაგებობათა მშენებლობის ტექნიკური პროექტების, ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების ექსპერტიზისა და დამტკიცების დროს უზრუნველყონ, რომ დაცულ იქნეს წყლისა და სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ჩანადენების გაწმენდის, მავნე სამრეწველო გამონაბოლქვებისაგან ატმოსფეროს დაცვის, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ნარჩენების უტილიზაციის, ნეიტრალიზაციისა და დაწვის, სასარგებლო წიაღისეულის რაციონალური დამუშავებისა და მიწების რეკულტივაციის ნორმატიული მოთხოვნები.

სსრ კავშირის სახმშენმა დააწესოს რეგულარული კონტროლი აღნიშნული მოთხოვნების შესრულებისადმი.

33. დაწესდეს, რომ წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლების გაშვებასთან დაკავშირებული წყალსარგებლობის საკითხებზე, აგრეთვე ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა გამობოლქვის საკითხებზე დავის გადაწყვეტისას მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, წყლის გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანოები და ამ დავის გადაწყვეტისათვის უფლებამოსილი სხვა ორგანოები ითვა-



ლისწინებენ სსრ კავშირის სახმშენისა და მოკავშირე რესპუბლიკების მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტების, აგრეთვე სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარი სამმართველოს შესაბამისი ორგანოებისა და სხვა კომპეტენტური ორგანოების საექსპერტო დასკვნებს.

34. დაევალოს სსრ კავშირის სახმშენს ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტროსთან და სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშაოს 1973 წელს საქვეუწყებო სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციათა ძალებით იმ მოწყობილობის, ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებათა ნომენკლატურა, რომლებიც შესაბამებიან საუკეთესო საზღვარგარეთულ ნიმუშებს და უნდა დამზადდეს მოსახლეობისათვის მისაწოდებელი წყლის, ჩამდინარე წყლების, ატმოსფეროში სამრეწველო გამონაბოლქვების საწმენდი, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ნარჩენების უტილიზაციისა და დაწვის ობიექტების მშენებლობისათვის, აგრეთვე აღნიშნული მოწყობილობის, ხელსაწყოთა და ავტომატიზაციის საშუალებათა დაპროექტებისა და დამზადების ტექნიკური დავალებანი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა გაითვალისწინოს გეგმებში აღნიშნული მოწყობილობის, ხელსაწყოთა და ავტომატიზაციის საშუალებათა მთავარი ნიმუშების დაპროექტება და დამზადება, აგრეთვე მათი გამოცდა.

35. დაწესდეს, რომ საწმენდ ნაგებობათა სრულყოფილი მოწყობილობისა და არმატურის შექმნის სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა განხორციელება, აგრეთვე მათი წარმოება ეკისრებათ:

ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს, სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტროს და მძიმე, ენერგეტიკული და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტროს (მათი სპეციალიზაციის შესაბამისად) — დასახლებული ადგილებისა და სამრეწველო საწარმოების საწყალსადენო და საკანალიზაციო ნაგებობებისათვის;

გემთსაშენებელი მრეწველობის სამინისტროსა და რუსეთის სფსრ სამდინარო ფლოტის სამინისტროს (მათი სპეციალიზაციის შესაბამისად) — გემებზე სასმელი და საყოფაცხოვრებო წყლის საწმენდი, გემებზე ჩამდინარე წყლების საწმენდი და გემებზე ჩამდინარე წყლების შესაგროვებელი დანადგარებისათვის, სანაპირო ტევაღობებში მათი შემდგომი გადატუმბვის მიზნით.

დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების ტექნიკური მოთხოვნების მიხედვით ჩამდინარე წყლების, ბუნებრივი წყლების და ატმოსფეროში სამრეწველო გამონაბოლქვების საკონტროლო და მათი გაწმენდის ხარისხის დასადგენი ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებათა დამუშავება და შექმნა, აგრეთვე ამ ხელსაწყოთა და ავტომატიზაციის საშუალებათა სერიული წარმოების ორგანიზაცია საწმენდი ნაგებობებისა და სამეთვალყურეო პუნქტებისათვის ეკისრება ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტროს.

სპეციალური ქსოვილებისაგან 10 მეტრამდე სიმაღლის სახელოიანი ფილტრების დამზადება ეკისრება სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტროს, საფილტრავი ქსოვილებისათვის სინთეზური მასალების დამუშავება და დამზადება — ქიმიური მრეწველობის სამინისტროს, ხოლო სახელოიანი ფილტრებისათვის საფილტრავი ქსოვილების დამუშავება და დამზადება — სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს.

ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტრომ, მძიმე, ენერგეტიკული და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტრომ, სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტრომ, ქიმიური მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ, გემთსაშენებელი მრეწველობის სამინისტრომ, ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტრომ და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭომ სამინისტროებისა და უწყებებისაგან მიღებულ ტექნიკურ მოთხოვნათა და განაცხადთა საფუძველზე შეიმუშაონ და წარუდგინონ 1973 წლის პირველ კვარტალში სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს წინადადებანი ამ პუნქტში აღნიშნული მოწყობილობის, აპარატურისა და მასალების წარმოების, მათ შორის ძირითად მაკომპლექტებელ ნაკეთობათა წარმოების, შესახებ.

36. ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტრომ, სსრ კავშირის სახმშენის, სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ, ქიმიური მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტრომ, მძიმე, ენერგეტიკული და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტრომ, ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტრომ, სსრ კავშირის სახმშენთან არსებულმა სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტმა და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭომ უზრუნველყონ ახალ სახეობათა მოწყობილობის დამუშავება ქალაქებისა და სამრეწველო საწარმოთა ჩამდინარე წყლების საწმენდი ნაგებობებისათვის, საქვეუწყებო საწარმოებში მთავარი ნიმუშების დამზადება და ამ მოწყობილობის სერიული წარმოების ათვისება № 5 დანართის თანახმად.

37. ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტრომ, ქიმიური მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტრომ შეიმუშაონ ბუნებრივი ზედაპირული წყლებისა და ჩამდინარე წყლების ხარისხის საკონტროლო ხელსაწყოები და მოაწყონ საქვეუწყებო საწარმოებში მათი სერიული წარმოება № 6 დანართის თანახმად.

38. დავვალოს ქიმიური მრეწველობის სამინისტროს შეიმუშაოს სსრ კავშირის სახმშენის, სსრ კავშირის სახმომარაგების, სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტროს, ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს დავალებით ჩამდინარე წყლები-





სა და ატმოსფეროში სამრეწველო გამონაბოლქვების საწმენდი აქტიურობის შიდა სპეციალური მარკები და სსრ კავშირის სახმომარაგებასთან შეთანხმებულ ვადებში მოაწყოს მისი წარმოება იმ ოდენობით, რაც დააკმაყოფილებს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებას მასზე.

39. დაევალოს სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს დაამთავროს მშენებლობა და გადასცეს საექსპლუატაციოდ ენაკიევოს რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხანაში პოლიმერრკინაბეტონის მიღების საწარმოო ექსპერიმენტული საამქრო, აგრეთვე უზრუნველყოს ქიმიური მრეწველობის სამინისტროსთან ერთად ამ მიღების გამოცდა აგრესიული სამრეწველო ჩანადენების პირობებში და წარუდგინოს 1974 წელს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს წინადადებანი მათი წარმოების შესახებ.

40. სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტრომ, სსრ კავშირის სამრეწველო მშენებლობის სამინისტრომ, სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ, სსრ კავშირის მჭიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტრომ და სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტრომ შექმნან 1973-1975 წლებში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესაბამისი მოცულობის პირობებში საწყალსადენო-საკანალიზაციო და საწმენდ ნაგებობათა მშენებლობის სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციები.

41. დაწესდეს 1973-1975 წლებში ჩამდინარე წყლების გაწმენდის ახალი მეთოდების შემუშავებისა და დანერგვის განხორციელების დავალება № 7 დანართის თანახმად.

სსრ კავშირის სახმშენმა განაზოგადოს აღნიშნული მეთოდების გამოყენების, აგრეთვე ჩამდინარე წყლების საწმენდ ნაგებობათა და დანადგართა ექსპერიმენტული მშენებლობისა და ექსპლუატაციის გამოცდილება და მიიღოს საჭირო ზომები ყველაზე ეფექტიანი მეთოდების დასანერგად.

42. ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის სამინისტრომ საბჭოური და საზღვარგარეთული გამოცდილების გათვალისწინებით შეიმუშაოს და განხორციელოს 1973-1974 წლებში საქვეუწყებო საწარმოებში მუშაობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისა და სამრეწველო ჩამდინარე წყლების საწმენდ ნაგებობათა მშენებლობის ღირებულების გაიაფების და ამ წყლებიდან ძვირფასი პროდუქტების ამოღების გადიდების ღონისძიებანი.

43. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტი:

გათვალისწინოს, მოყოლებული 1973 წლიდან, სახელმწიფო სტანდარტიზაციის გეგმებში ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების საერთო-ტექნიკური სახელმწიფო სტანდარტების კომპლექსის შემუშავება;

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან და სსრ კავშირის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშაოს და წარუდგინოს 1973 წლის პირველ ნახევარში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს წყლის რესურსების დაცვისა და მავნე სამრეწველო ნარჩენებისა და ავტომობილის გამონაბოლქვი გაზებისაგან ატმოსფე-

როს დაცვის დარგში სტანდარტიზაციის სამუშაოთა საკოორდინაციო პროექტი.

44. დაევალოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარ სამმართველოს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს შეიმუშაონ 1973 წლის 1 ივლისამდე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით და განახორციელონ 1973-1974 წლებში ღონისძიებანი ზედაპირული წყლების, ატმოსფერული ჰაერისა და ნიადაგის გაქუქუციანების ხარისხისა და ღონის საკონტროლო ჰიდროქიმიური, ჰიდრომეტეოროლოგიური, სანიტარიული და ჰიდრობიოლოგიური მეთვალყურეობის პუნქტების ქსელის შესაქმნელად, აგრეთვე 1975 წლამდე წყლის, ატმოსფერული ჰაერისა და ნიადაგის ხარისხის თაობაზე ინფორმაციის შეგროვების, შენახვის, ძიებისა და დამუშავების ერთიანი სისტემის შესაქმნელად.

45. დაევალოს სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს დააწესოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით სახელმწიფო ანგარიშგება იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებენ სამინისტროები და უწყებები ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების, გაქუქუციანებისა და გამოფიტვისაგან მათი დაცვის, წყლებისა და ატმოსფეროში სამრეწველო გამონახოლქვების მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის, აგრეთვე მიწების რეკულტივაციის ღონისძიებებს, რაც ხორციელდება სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებასთან ან გეოლოგიურ-საზვერ, სამშენებლო და სხვა სამუშაოთა შესრულებასთან დაკავშირებით.

46. საჭიროდ ჩაითვალოს, რომ გაძლიერდეს მოსახლეობაში ბუნების დაცვის ცოდნის გავრცელება და მის სიმდიდრეთა რაციონალური გამოყენების დიდი მნიშვნელობის განმარტება.

ამ მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, სრულიად საკავშირო საზოგადოება „კოდანმა“, ბუნების დაცვის რესპუბლიკურმა სახელმწიფო კომიტეტებმა და ბუნების დაცვის საზოგადოებებმა გააფართოონ საინფორმაციო, სამეცნიერო-პოპულარული, საგანმანათლებლო, მხატვრული ლიტერატურისა და კინოფილმების გამოშვება ბუნების დაცვის საკითხებზე, გააძლიერონ ლექციური პროპაგანდა, უფრო სრულად გააშუქონ ეს საკითხები რადიოთი და ტელევიზიით.

გაზეთების „პრავდის“, „იზვესტიის“, „სელსკაია ჟიზნის“, „სოვეტსკაია როსისის“, „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიის“, „ეკონომიჩესკაია გაზეტას“, „კომსომოლსკაია პრავდის“, „ტრუდის“, აგრეთვე რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო გაზეთების რედაქციებმა უფრო ფართოდ გააშუქონ ბუნების დაცვის გაძლიერებასთან და ბუნებრივი რესურსების გამოყენების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხები.

სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა და სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა, რომელთა გამგებლობაშიც არის უმაღლესი სასწავლებლები, ტექნიკუმები და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები, გააძლიერონ ყურადღება ბუნებისმცოდნეობის საფუძვლების, ბუნებრივი გარემოს რაციონალური გამოყენებისა და დაცვის სწავლებისადმი ყველა სასწავლებელში.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ განიხილონ დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად და გადაჭრან საკითხი ბუნების დაცვისა და მისი რესურსების გამოყენების დარგში სპეციალისტთა მომზადების გაძლიერების შესახებ.

საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა უზრუნველყონ მშრომელთა და ახალგაზრდათა აქტიური მონაწილეობა ბუნების დაცვისათვის მუშაობაში.

47. დავალოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს უზრუნველყონ შესაბამისი საბჭოთა ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობა ბუნებრივი გარემოს შესწავლისა და არახელსაყრელი ზემოქმედებისაგან მისი დაცვის დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში.

სკკპ  
 ცენტრალური კომიტეტის მდივანი  
 ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის  
 მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე  
 ა. კოსიგინი.

**45** საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 22 სექტემბრის № 553 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

„საბინაო-კოოპერაციული მშენებლობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 22 სექტემბრის № 553 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ: აღნიშნული დადგენილების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. დაევალოს საქართველოს სსრ სახმშენსა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს უზრუნველყონ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლების მშენებლობა ძირითადად მოქმედი ტიპობრივი პროექტების მიხედვით.

ცალკეულ შემთხვევებში, როცა ეს ნაკარნახევია განაშენიანების პირობებით, დაშვებულ იქნეს საქართველოს სსრ სახმშენის ნებართვით საცხოვრებელი სახლების მშენებლობა ინდივიდუალური პროექტებით საცხოვრებელი სახლების დაპროექტების მოქმედი ნორმების დაცვის, უნიფიცირებულ ინდუსტრიულ კონსტრუქციათა და ნაკეთობათა გამოყენების და მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმების დაცვის პირობით“.

საქართველოს კვ  
 ცენტრალური კომიტეტის მდივანი  
 ე. შავარდნაძე.

საქართველოს სსრ  
 მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე  
 ბ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი, 1973 წ. 22 მაისი, № 357.

**46** საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსა და საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის 1942 წლის 6 ივნისის № 932 დადგენილების ნაწილობრივ კალადაპარგულად ჩათვლის შესახებ

„უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა მატერიალური და საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სკკვ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 18 ოქტომბრის № 755 დადგენილებასთან დაკავშირებით სკკვ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის თაობაზე“ სკკვ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 7 მარტის № 146 დადგენილების



შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1942 წლის 6 ივნისის № 932 დადგენილება „1942 წელს უმაღლეს სასწავლებლებში მიღების გეგმისა და უმაღლეს სასწავლებელთა განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“, მე-4 პუნქტის გარდა.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 7 მარტის № 146 დადგენილებით:

— შეტანილია ცვლილება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 7 ოქტომბრის № 590 დადგენილებით დაგზავნილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 20 აგვისტოს № 681 დადგენილების — „უმაღლეს სასწავლებლებთან მოსამზადებელ განყოფილებათა შექმნის შესახებ“ (სსრ კავშირის დადგ. კრებ., 1969 წ., № 20, მუხ. 112) მე-5 პუნქტის პირველ აბზაცში, სადაც სიტყვები: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 9 ივლისის № 774 დადგენილების შესაბამისად“ შეცვლილია სიტყვებით: „სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 18 ოქტომბრის № 755 დადგენილების შესაბამისად“;

ძალადაკარგულად ჩაითვალია:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 28 ივნისის № 693 განკარგულებით დაგზავნილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 20 ივნისის № 477 დადგენილების მე-5 პუნქტის პირველი აბზაცი;

— საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 18 ნოემბრის № 658 დადგენილებით დაგზავნილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 17 ივლისის № 573 დადგენილების მე-17 პუნქტი, სტიპენდიის ოდენობის ნაწილში.

საქართველოს კპ  
ცენტრალური კომიტეტის  
მდივანი  
**ა. ჩუბინი.**

საქართველოს სსრ  
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის  
მოადგილე  
**ზ. კიკნაძე.**

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

### 47 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გალაკტიონ ტაბიძის სახელობის სტიპენდიის დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

საქართველოს სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის დაბადების 80 წლისთავის აღსანიშნავად და მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე დაწესდეს გ. ტაბიძის სახელობის ორი სტიპენდია, თითო 60 მანეთის ოდენობით, უნივერსიტეტისათვის დამტკიცებული სტიპენდიის ფონდის ფარგლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე ბ. ჯანაშიაძე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი

ქ. თბილისი, 1973 წ. 7 მაისი, № 304.

### 48 სამსახურებრივი მივლინებების მოწესრიგების დამატებითი ღონისძიებათა შესახებ

„სამსახურებრივი მივლინებების მოწესრიგების დამატებითი ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 1 მარტის № 131 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს, რომ სამსახურებრივ მივლინებათა ვადა არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს, მუშაკის გზაში ყოფნის დროის ჩათვლელად. მივლინების ვადის გაგრძელება დასაშვებია არა უმეტეს 10 დღისა.

შენარჩუნებულ იქნეს სამონტაჟო და გასამართავ სამუშაოთა შესასრულებლად სამსახურებრივ მივლინებებში მუშაკთა გაგზავნის მოქმედი წესი და პირობები.

2. დაწესდეს, რომ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროებსა და უწყებებში და სახელმწიფო და სამეურნეო მართვის სხვა ორგანოებში მივლინებულ მუშაკთა ყოფნის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 5 დღეს. მივლინების ვადის გაგრძელება დასაშვებია განსაკუთრებულ შემთხვევებში არა უმეტეს 5 დღისა მინისტრების, საკავშირო, რესპუბლიკურ უწყებათა ხელმძღვანელების ან მათი მოადგილეების წერილობითი ნებართვით.



შენარჩუნებულ იქნეს სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის რევიზიებისა და შემოწმებების ჩასატარებლად მუშაკთა მივლინებებში გაგზავნის მოქმედი წესი.

3. მივლინებებში მუშაკთა ყოფნის ვადების შემცირებასთან დაკავშირებით დაუწესდეთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს მმართველობის აპარატის სამსახურებრივ მივლინებათა ხარჯების შემცირების დამატებითი დავალება № 1 დანართის თანახმად.

აღნიშნული შემცირების შედეგად დაზოგილი თანხები საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავალში შეიტანება სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1972 წლის 27 დეკემბრის № 250 წერილით დადგენილი წესით.

4. დაუწესდეთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს 1973 წლისათვის მმართველობის აპარატის მუშაკთა სამსახურებრივ მივლინებათა ხარჯების ლიმიტი 1973 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სამივლინებო ხარჯების დამატებითი შემცირების განხორციელების გათვალისწინებით № 2 დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ სამინისტროებმა, უწყებებმა, გაერთიანებებმა, ტრესტებმა და სამეურნეო მართვის სხვა ორგანოებმა 10 დღის ვადაში დაუგზავნონ საქვეუწყებო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს მმართველობის აპარატის მუშაკთა სამსახურებრივ მივლინებათა ხარჯების ლიმიტები და ამავე დროს აცნობონ ეს ლიმიტები სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის შესაბამის დაწესებულებებს აღნიშნულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ადგილსამყოფელის მიხედვით.

შემდგომ წლებში აღნიშნული ლიმიტები დაუგზავნონ საწარმოებსა და ორგანიზაციებს შესაბამისი წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის საფინანსო მაჩვენებლებთან ერთად.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ სამივლინებო სახსრების გაცემისას კონტროლი გაუწიოს, იცავენ თუ არა საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები მათთვის დადგენილ სამსახურებრივ მივლინებათა ხარჯების ლიმიტებს.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს უზრუნველყონ მივლინებათა თაობაზე ნებართვების გაცემის, ამ მიზნით ხარჯების ანაზღაურების, მივლინებებში ყოფნის ვადებისა და მივლინებაში მყოფ პირთა რეგისტრაციის დადგენილი წესის ზუსტად დაცვა.

6. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ წარუდგინოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს შესთანხმებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებული ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით იმ მუშაკთა სამსახურებრივ მივლინებათა ხარჯების ლიმიტები, რომლებიც მმართველობის აპარატს არ ეკუთვნიან.

7. საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ:

— დააწესონ სისტემატური კონტროლი სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ ყველა სახეობის სამსახურებრივ მივლინებათა სახსრების ხარჯვისადმი;

— უზრუნველყონ კონტროლი საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში სამივლინებო სახსრების ხარჯვაში გამოვლინებულ დარღვევათა აღმოფხვრისადმი და სრულად გამოიყენონ მათთვის მინიჭებული ის უფლებანი, რომ დისციპლინარული და მატერიალური პასუხისმგებლობა დააკისრონ თანამდებობის პირებს, რომლებიც არღვევენ სამსახურებრივი მივლინებებისათვის სახსრების ხარჯვის დადგენილ წესს;

— მოაწყონ 1973 წლის მაის-ივნისის განმავლობაში ყველა სახეობის სამსახურებრივი მივლინებებისათვის სახსრების ხარჯვის სისწორის შემოწმება და შეისწავლონ საწარმოებში, ორგანიზაციებში ამ ხარჯების შემდგომი შემცირების შესაძლებლობანი და შედეგები მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს არა უგვიანეს 1973 წლის 1 იელისისა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარე **პ. ჯაპახიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1973 წ. 15 მაისი, № 321.



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
1973 წლის 15 მაისის № 321  
დადგენილების დანართი № 1

**დ ა ვ ა ლ მ ბ ა**

**საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებში სამიწვინებო ხარჯების  
დამატებითი შემცირებისა 1973 წლისათვის**

სამინისტროთა და უწყებათა დასახელება	მმართველობის აპარატის მუშაკთა სამსახურებრივ მიწვინებათა ხარჯების და- მატებითი შემცირების და- ვლება 1973 წლისათვის ათას მანეთობით
ვაკრობის სამინისტრო	6
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	5
მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო	2
სოფლის მეურნეობის სამინისტრო	5
საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო	5
მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო	4
უმალღესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო	1
საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო	9
კომუნალური მეურნეობის სამინისტრო	2
საავტომობილო გზების სამინისტრო	2
კულტურის სამინისტრო	2
განათლების სამინისტრო	11
კავშირგაბმულობის სამინისტრო	5
ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო	4
პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი	4
გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი	3
კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი	2
„საქსოფლტექნიკა“	5
ციკლეონი	13
ვაზოდეკაციის მთავარი სამმართველო	6
საქმთავარნაფთობომოზარეგბაგისაღება	1
თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი	3
<b>ს უ ლ:</b>	<b>100,0</b>

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **წ. ახვლედიანი.**



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
1973 წლის 15 მაისის № 321  
დადგენილების დანართი № 2

საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებში მმართველობის აპარატს მუშაკთა სამსახურებრივ მივლინებათა ხარჯების ლიმიტები (ამ დადგენილების და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 5 იანვრის № 9 განკარგულების შესაბამისად აღნიშნული ხარჯების შემცირების გათვალისწინებით)

სამინისტროთა და უწყებათა დასახელება

	სახელმწიფო მმართველობის საბუღალტრო ორგანოს (თანგანყოფილება)	სახელმწიფო მმართველობის საბუღალტრო ორგანოები (ათას ნაწილებით)
ვაჭრობის სამინისტრო	174,0	19,0
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	163,0	7,0
მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო	120,0	—
სოფლის მეურნეობის სამინისტრო	153,0	107,0
საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო	262,0	3,6
მედიკოსებისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო	97,0	5,4
საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო	173,0	4,7
საავტომობილო გზების სამინისტრო	41,0	10,0
კავშირგაბმულობის სამინისტრო	82,0	10,0
კულტურის სამინისტრო	43,0	4,0
უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო	25,0	3,0
განათლების სამინისტრო	343,0	6,0
ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო	173,0	10,9
კომუნალური მეურნეობის სამინისტრო	142,0	2,0
პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი	72,0	7,0
გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი	84,0	—
კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი	37,0	—
„საქსოფლტექნიკა“	107,0	—
ცეკავშირი	455,0	—
გაზიფიკაციის მთავარი სამმართველო	66,0	—
საქნავთომომარაგებაგასაღება	27,0	—
თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი	56,0	2,4
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველობა	—	3,0
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობა	—	8,2
სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო	22,0	7,0
საგარეო საქმეთა სამინისტრო	—	1,0
იუსტიციის სამინისტრო	—	10,0
სახმეფი	13,0	3,0
ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი	6,0	—
მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი	4,0	3,5
საქსასამთოტექნეზამხედველობის კომიტეტი	12,0	5,4
წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტი	—	3,5
შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტი	2,0	4,4
საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი	—	25,0
ფასების სახელმწიფო კომიტეტი	—	3,0
ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი	12,0	1,4
ნატორებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველო	10,0	2,0
უცხოეთის ტურიზმის სამმართველო	—	2,5



სამინისტროთა და უწყებათა დასახელება

	სახელმწიფო მმართველობის საბიუჯეტო ორგანოების გარეშე (ათას მანეთი)	სახელმწიფო მმართველობის საბიუჯეტო ორგანოები (ათას მანეთი)
მთავარი საარქივო სამმართველო	14,0	—
სასამართლო ორგანოები	—	20,5
სახელმწიფო არბიტრაჟი	—	0,5
საქინფორში	1,0	—
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან	—	2,0
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებული საქართველოს სსრ-ში	—	0,5
მეცნიერებათა აკადემია	22,0	—
სავაჭრო-სამრეწველო პალატა	13,0	—
ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი	2,0	—
თანამემამულეებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოება	—	0,4
საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოება	—	0,5
საზოგადოება "ბუნების მეგობარი"	4,0	—
მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოება	12,0	—
კულტურის ძეგლების დაცვის საზოგადოება	12,0	—
ურბ-მუნჯთა საზოგადოება	11,0	—
უსინათლოთა საზოგადოება	14,0	—
თეატრალური საზოგადოება	9,0	—
ნებაყოფლობითი სახანრო საზოგადოება	16,0	—
არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკური კომიტეტი	2,0	—
მწერალთა კავშირი	1,0	—
ჟურნალისტთა კავშირი (სამხატვრო წარმოებისათვის)	1,0	—
მონადირეთა და მებაღურთა კავშირი	3,0	—
წყალმამეველი საზოგადოება	6,0	—
აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭო	—	36,0
აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭო	1,0	37,0
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი	1,0	32,0
ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი	—	2,0
ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომი	—	2,1
ჭიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკომი	—	2,2
რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომი	—	0,4
გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომი	—	0,4
ტყიბულის საქალაქო საბჭოს აღმასკომი	—	3,0
ზუგდიდის საქალაქო საბჭოს აღმასკომი	—	1,2
სსოფლო რაიონების მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები	—	172,4
<b>ს უ ლ :</b>	<b>3 121,0</b>	<b>598,0</b>

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი ზ. ანკლადიანი

# 49 საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის საზოგადოების წესდების დაგეგმვის განყოფილება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების თანდართული წესდება, მიღებული საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების VI ყრილობის მიერ 1972 წლის 25 დეკემბერს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 თავმჯდომარე **ბ. ჯაჰანიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1973 წ. 21 მაისი, № 326.



დამტკიცებულია საქართველოს  
ნისტრთა საბჭოს 1973 წლის 21 მაისის  
№ 326 დადგენილებით

## საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების

### წ ე ს დ ე ბ ა

#### I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოება არის ნებაყოფლობითი სამეცნიერო-პედაგოგიური საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლის მიზანია აქტიურად შეუწყოს ხელი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის ღონისძიებების განხორციელებას მოზარდი თაობის სწავლებისა და კომუნისტური აღზრდის დარგში.

2. საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების ძირითადი ამოცანებია:

ა) ხელი შეუწყოს საბჭოთა პედაგოგიკის თეორიული პრობლემების მეცნიერულ დამუშავებას და პრაქტიკასთან პედაგოგიკის მეცნიერების კავშირის ყოველი ღონისძიებით განმტკიცებას;

ბ) პროპაგანდა გაუწიოს საბჭოთა პედაგოგიკის მეცნიერების მიღწევებს ფართო პედაგოგიურ საზოგადოებაში და აქტიური მონაწილეობა მიიღოს პედაგოგიური ცოდნის გავრცელებაში მოსახლეობას შორის;

გ) შეისწავლოს, განაზოგადოს მოწინავე პედაგოგიური გამოცდილება და მონაწილეობა მიიღოს სასწავლო დაწესებულებათა მუშაობის პრაქტიკაში მოწინავე გამოცდილებისა და პედაგოგიკის მეცნიერების მიღწევათა დანერგვის ღონისძიებებში;

დ) დაეხმაროს საზოგადოების წევრებს მათი სპეციალური ცოდნის გაფართოებასა და გაღრმავებაში, იდეურ-თეორიული ღონის ამადლებაში.

3. საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოება თავის წინაშე დასახული ამოცანების განსახორციელებლად:

ა) მხარს უჭერს და ავითარებს საზოგადოების წევრთა შემოქმედებით ინიციატივას და დახმარებას უწევს ყველა პირს, ვინც პედაგოგიკის მეცნიერებისა და პრაქტიკის საკითხებს სწავლობს;

ბ) დადგენილი წესის მიხედვით აწყობს სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებს, სიმპოზიუმებს, მოხსენებებს, თეორიულ დისკუსიებს, პედაგოგიურ კითხვას სწავლების, კომუნისტური აღზრდის საკითხებზე და მონაწილეობას იღებს სახელმწიფო ორგანოების ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული იმ ღონისძიებების მომზადებასა და განხორციელებაში, რომლებიც საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს შეეხება;

გ) აწყობს კონკურსებს სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფის საკითხებზე და გამარჯვებულებს ანიჭებს პრემიებს;

დ) მონაწილეობას იღებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლებისათვის სახელმძღვანელოების, სასწავლო-მეთოდური წიგნებისა და სწავლე-

ბის ტექნიკურ საშუალებათა მომზადებაში. დადგენილი წესით ეწევა საგამომცემლო საქმიანობას;

ე) შეისწავლის, განაზოგადებს და პროპაგანდას უწევს პედაგოგიკის მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევებს;

ვ) აწყობს დადგენილი წესით სასწავლო თვალსაჩინო ხელსაწყოებისა და ტექნიკურ საშუალებათა ახალი ნიმუშების დამზადებისა და შემოწმება-დანერგვის ექსპერიმენტულ სახელოსნო-ლაბორატორიას;

ზ) კავშირს ამყარებს საწარმოებთან, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებთან იმ ღონისძიებათა ერთობლივად შემუშავებისა და განხორციელების მიზნით, რომლებიც საზოგადოების ამოცანებს უპასუხებს;

თ) დადგენილი წესით ახორციელებს ღონისძიებებს საზოგადოების წევრთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად (აწყობს კურსებს, ლექტორიუმებს და ა. შ.).

## II. საზოგადოების წევრები, მათი უფლება-მოვალეობანი

4. საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების წევრები შეიძლება იყვნენ:

ა) სკოლის მასწავლებლები, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებლები, სკოლამდელი და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებების, სახალხო განათლების ორგანოების, პრესის მუშაკები, მეცნიერი მუშაკები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები და სხვა პირები, რომლებიც თავიანთი საქმიანობათ ხელს უწყობენ პედაგოგიკის მეცნიერებისა და პრაქტიკის განვითარებას.

საზოგადოების წევრებად მიღება ხდება პირველადი ორგანიზაციის საერთო კრებაზე ღია კენჭისყრით.

ბ) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, სკოლამდელი და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებები, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო დაწესებულებები, პედაგოგიური სასწავლებლები და ინსტიტუტები, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, უნივერსიტეტი, და სხვა უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები, საწარმოები, საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და ნებაყოფლობითი საზოგადოებანი (იურიდიული წევრები).

პედაგოგიური საზოგადოების იურიდიულ წევრებად მიღება ხდება ამ საზოგადოების საქალაქო, რაიონული, საოლქო, რესპუბლიკური (ასსრ) განყოფილებების საბჭოებისა და საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის მიერ.

**შენიშვნა:** საჩივრები პედაგოგიური საზოგადოების წევრად მიღებაზე უარის თქმის გამო განიხილება საზოგადოების ზემდგომი განყოფილების საბჭოს მიერ.

5. საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების წევრებს უფლება აქვთ:

ა) გადამწყვეტი ხმის უფლებით მონაწილეობა მიიღონ საზოგადოების წევრთა კრებებსა და თათბირებში;

ბ) აირჩიონ და არჩეულ იქნენ საზოგადოების ყრილობებისა და კონფერენციების დელეგატებად, აგრეთვე საზოგადოების ხელმძღვანელ და სარევიზიო ორგანოებში;

გ) შეკითხვებით, განცხადებებითა და წინადადებებით მიმართონ საზოგადოების ყოველ ხელმძღვანელ ორგანოს;

დ) მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო-პრაქტიკული და სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციებისა და სიმპოზიუმების მუშაობაში, თეორიულ დისკუსიებში, პედაგოგიურ კითხვასა და სხვა ღონისძიებებში, რომელთაც საზოგადოება ახორციელებს;

ე) საზოგადოების გამოცემებში გამოაქვეყნონ ნაშრომები, რომლებიც საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებს უპასუხებს.

6. საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების წევრებს ევალებათ:

ა) იმყოფებოდნენ აღრიცხვაზე და აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის მუშაობაში, ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი საზოგადოების როლის ამაღლებას მის წინაშე დასახული ამოცანების განხორციელებაში;

ბ) შეასრულონ საზოგადოების წესდების, ყრილობების, კონფერენციების, კრებების დადგენილებებისა და მისი სხვა ხელმძღვანელი ორგანოების მოთხოვნები;

გ) ეუფლებოდნენ პედაგოგიკის მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევებს;

დ) თავის დროზე გადაიხადონ საწევრო შესატანები.

7. საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების წევრები იხდიან შესასვლელ შესატანს 20 კაპიკის ოდენობით და ყოველწლიურად საწევრო შესატანს 1 მანეთის ოდენობით. შესატანთა გადახდის ვადასა და წესს ადგენს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი.

8. საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების იურიდიულ წევრებს უფლება აქვთ:

ა) შეიტანონ წინადადებანი საზოგადოების ყველა ორგანოში იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოების საქმიანობასთან;

ბ) გამოყონ წარმომადგენლები სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციებისა და სიმპოზიუმების მუშაობაში, პედაგოგიურ კითხვასა და საზოგადოების სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად;

გ) საზოგადოების ორგანოებისაგან მიიღონ კონსულტაცია და დახმარება ბავშვებისა და ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდისათვის წარმოებულ მუშაობის დარგში.

9. საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების იურიდიულ წევრებს ევალებათ:

ა) აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოების მიერ განხორციელებულ ღონისძიებებში;

ბ) ხელი შეუწყონ საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების ჩამოყალიბებას;

გ) თავის დროზე გადაიხადონ საწევრო შესატანები.

10. საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების იურიდიული წევრები ყოველწლიურად იხდიან საწევრო შესატანებს შემდეგი ოდენობით:

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, სკოლამდელი და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებები, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები, პედაგოგიური სასწავლებლები და სხვა საშუალო სპეციალური სასწავლებლები — 2 მანეთსა და 50 კაპიკს;

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი, პედაგოგიური ინსტიტუტები, უნივერსიტეტი, სხვა უმაღლესი სასწავლებლები, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები და ორგანიზაციები — 10 მანეთს;

საწარმოები, საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და ნებაყოფლობითი საზოგადოებანი — 30 მანეთს.

11. აქტიური მუშაობისათვის საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების წევრი შეიძლება დაჯილდოვდეს საზოგადოების ცენტრალური, რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, რაიონული, საქალაქო საბჭოს სიგელით.

საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების წევრებს საზოგადოების წინაშე დასახული ამოცანების განხორციელების საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისათვის შეიძლება მიენიჭოს „საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების საპატიო წევრის“ წოდება. ამ წოდების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საზოგადოების ყრილობა.

12. საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების წევრები, თუ ისინი ჩაიდენენ ისეთ დანაშაულს, რომელიც შეუთავსებელია საზოგადოების წევრად ყოფნასთან, გაირიცხებიან საზოგადოებიდან საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის საერთო კრების დადგენილებით. თუ ამ დადგენილებას მხარს დაუჭერს კრების დამსწრეთა 2/3-ზე მეტი.

### III. საზოგადოების სტრუქტურა და ხელმძღვანელი ორგანოები

13. საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა საზოგადოების ყრილობა, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ მაინც მოიწვევა.

საზოგადოების ყრილობის მოწვევის დრო, ადგილი, წარმომადგენლობითი ნორმები და დღის წესრიგი დადგინდება და ცხადდება არა უგვიანეს სამი თვისა ყრილობამდე.

საზოგადოების ყრილობა უფლებამოსილად ითვლება, თუ მას ესწრება არჩეული დელეგატების არანაკლებ 2/3-ისა.

14. საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების ყრილობა:

ა) განიხილავს და იღებს საზოგადოების წესდებს. აგრეთვე ცვლილებები შეაქვს მასში და შეაქვს მას;

ბ) ირჩევს საზოგადოების ცენტრალურ საბჭოსა და ცენტრალურ სარევიზიო კომისიას, რომელთა წევრების რაოდენობას ადგენს ყრილობა;



გ) განიხილავს და ამტკიცებს საზოგადოების ცენტრალური საბჭოსა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიშებს;

დ) განსაზღვრავს საზოგადოების მორიგ ამოცანებს;

ე) ანიჭებს საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების საპატიო წევრის წოდებას;

ვ) განიხილავს სხვა საკითხებს, რომლებიც შემოაქვს საზოგადოების ცენტრალურ საბჭოს.

15. საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო ყრილობებს შორის პერიოდში არის საზოგადოების ცენტრალური საბჭო.

16. საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პლენუმი მოიწვევა წელიწადში ორჯერ მაინც. პლენუმი უფლებამოსილია გადაწყვეტილებანი მიიღოს, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა არანაკლებ 2/3-ისა.

17. საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების ცენტრალური საბჭო:

ა) ხელმძღვანელობს საზოგადოების მთელ საქმიანობას მისი წესდების შესაბამისად;

ბ) ახორციელებს საზოგადოების ყრილობათა გადაწყვეტილებებს, აორგანოვებს პარტიისა და მთავრობის იმ გადაწყვეტილებათა შესრულებას, რომლებიც საზოგადოების საქმიანობას ეხება, კონტროლს უწევს საზოგადოების წესდების შესრულებას;

გ) ცენტრალური საბჭოს წევრებიდან ირჩევს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმს—პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტებს, სწავლულ მდივანსა და პრეზიდიუმის წევრებს იმ რაოდენობით, რასაც საზოგადოების ცენტრალური საბჭო განსაზღვრავს;

დ) იწვევს საზოგადოების წევრთა ყრილობებს, თათბირებს, აგრეთვე სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებს, ადგენს ყრილობებზე წარმომადგენლობითს ნორმებს, მათი მოწვევის დროსა და ადგილს;

ე) ამტკიცებს საზოგადოების სამუშაო გეგმებს და კონტროლს უწევს მათ შესრულებას;

ვ) განიხილავს და ამტკიცებს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის ხარჯთაღრიცხვებს, ანგარიშებს;

ზ) განიხილავს სხვა საკითხებს, რომლებიც შემოაქვთ საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმსა და ცენტრალურ სარევიზიო კომისიას.

18. საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების აღმასრულებელი ორგანო არის მისი პრეზიდიუმი. საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პლენუმებს შორის პერიოდში პრეზიდიუმი წარმომადგენს საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს.

საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი:

ა) მთელ მუშაობას წარმართავს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად;

ბ) ადგენს საზოგადოების მუშაობის ყოველწლიურ გეგმებს, საზოგადოების ხარჯთაღრიცხვებსა და ანგარიშებს;

გ) ამტკიცებს დებულებებსა და ინსტრუქციებს საზოგადოებისა და მისი ორგანოების საქმიანობის საკითხებზე;

დ) იწვევს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პლენუმებს;

ე) საზოგადოებრივ საწყისებზე ქმნის სექციებს, დადგენილი წესით აწყობს სახელოსნოებს სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყოების საწარმოებლად და ხელმძღვანელობს მათ მუშაობას;

ვ) ხელმძღვანელობს საზოგადოების საავტოციო-პროპაგანდისტულ მუშაობას;

ზ) დადგენილი წესით გამოსცემს საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებულ ლიტერატურას. საგამომცემლო საქმიანობის ორგანიზაციისათვის საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი ქმნის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს;

თ) ხელმძღვანელობს საზოგადოების ადმინისტრაციულ-სამეურნეო და საფინანსო საქმიანობას.

ი) საზოგადოების სახელით დებს ხელშეკრულებებს, კისრულობს ვალდებულებებს და გასცემს მინდობილობებს, სსნის და ხურავს ანგარიშებს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის შესაბამის დაწესებულებებში და განაგებს საზოგადოების კრედიტებს, ქონებას იმ ფარგლებში, რომლებიც კანონმდებლობით და ამ წესდებით არის დადგენილი;

კ) საზოგადოების სახელით წარმომადგენლად გამოდის ყველა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ორგანოებში;

ლ) ამტკიცებს ბეჭდისა და შტამპის ერთიან ნიმუშებს საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის;

მ) ამტკიცებს საზოგადოების ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, საქალაქო და რაიონული განყოფილებების შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვებს, საშტატო ერთეულებს, ხელფასის განაკვეთებს და განსაზღვრავს ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის ლიმიტს საზოგადოების მიერ დადგენილი საშტატო ერთეულების ფარგლებში;

ნ) წყვეტს სხვა საკითხებს, რომლებიც საზოგადოების საქმიანობას ეხება.

19. ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში, რაიონებსა და ქალაქებში იქმნება:

ა) საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების ადგილობრივი განყოფილებები — რესპუბლიკური (აფხაზეთისა და აჭარის ასსრ), საოლქო (სამხრეთ ოსეთის ა/ო), საქალაქო და რაიონული განყოფილებები;

ბ) საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები — ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, პროფესიულ-ტექნიკურ, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში, სკოლაშდელ და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებში, სახალხო განათლების ორგანოებთან, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, უნივერსიტეტში, საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.



20. საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების ადგილობრივი განყოფილებები იქმნება საზოგადოების ზემდგომი ორგანოების საბჭოს გადაწყვეტილებით.

21. საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების ადგილობრივი განყოფილებების უმაღლეს ორგანოს ავტონომიურ რესპუბლიკებში, ოლქში, რაიონში, ქალაქში წარმოადგენს რესპუბლიკური, საოლქო, სარაიონო, საქალაქო კონფერენციები, რომლებიც მოიწვევა ორ წელიწადში ერთხელ მაინც.

კონფერენციები ირჩევენ ორი წლის ვადით საზოგადოების განყოფილების საბჭოს და სარევიზიო კომისიას იმდენი წევრის შემადგენლობით, რამდენსაც დაადგენს კონფერენცია.

22. საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების ადგილობრივი განყოფილების საბჭო:

ა) ხელმძღვანელობს პირველადი ორგანიზაციების მუშაობას საზოგადოების წესდების შესაბამისად;

ბ) ახორციელებს საზოგადოების იურიდიულ წევრებად მიღებას;

გ) წარუდგენს საზოგადოების ზემდგომ ორგანოებს მოხსენებებს თავისი მოღვაწეობის შესახებ. აგრეთვე წლიურ და კვარტალურ ფინანსურ ანგარიშებს;

დ) ირჩევს საბჭოს პრეზიდიუმს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეების, პასუხისმგებელი მდივნის, ხაზინადარისა და წევრების შემადგენლობით.

23. საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების რესპუბლიკური, საოლქო, რაიონული და საქალაქო განყოფილებების კონფერენცია, საბჭო, საბჭოს პრეზიდიუმი და სარევიზიო კომისია თავიანთ საქმიანობას წარმართავენ იმ წესების შესაბამისად, რომლებიც ამ წესდებით არის გათვალისწინებული საზოგადოების ყრილობისათვის, ცენტრალური საბჭოსათვის, ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიისათვის.

24. საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების ცენტრალური საბჭოსა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის, საზოგადოების რესპუბლიკური, საოლქო, რაიონული, საქალაქო განყოფილებებისა და პირველადი ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოებისა და სარევიზიო კომისიების, აგრეთვე საზოგადოების ყრილობებისა და კონფერენციების დელეგატების არჩევნები ეწყობა ღია კენჭისყრით.

საზოგადოების ყრილობების, კონფერენციების, კრებებისა და სხვა ხელმძღვანელი ორგანოების ყველა გადაწყვეტილების მიღება ხდება ხმის უბრალო უმრავლესობით.

25. საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო და რაიონული განყოფილებები მუშაობენ საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის ხელმძღვანელობით.



26. საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ვადოების ცენტრალური, რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოები წარმოადგენენ იურიდიულ პირებს, აქვთ საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დადგენილი ერთიანი ნიმუშის ბეჭდები და შტამპები.

27. საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები იქმნება საზოგადოების რაიონული და საქალაქო განყოფილებების მიერ, თუ საზოგადოების წევრების რაოდენობა ხუთზე ნაკლები არ არის.

საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა საერთო კრება, რომელსაც იწვევენ საპირობებისამებრ, მაგრამ წელიწადში ერთხელ მაინც.

საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ამ პირველადი ორგანიზაციის წევრთა ნახევარზე მეტი.

28. მიმდინარე მუშაობის საწარმოებლად საქართველოს საზოგადოების პირველადი ორგანიზაცია ირჩევს რწმუნებულს, ხოლო თუ 15 და მეტ წევრს აერთიანებს, საერთო კრებაზე ირჩევს ბიუროს თავმჯდომარის, მდივნისა და ხაზინადარის შემადგენლობით.

საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის ბიუროს ან რწმუნებულს ირჩევენ ორი წლის ვადით.

#### IV. საზოგადოების სარევიზიო ორგანოები

29. საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების სარევიზიო ორგანოებია ცენტრალური სარევიზიო კომისია და საზოგადოების ადგილობრივ განყოფილებათა სარევიზიო კომისიები.

30. საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების ცენტრალური სარევიზიო კომისია:

ა) აირჩევა ყრილობის მიერ საზოგადოების იმ წევრთაგან, რომლებიც საზოგადოების ცენტრალური საბჭოს შემადგენლობაში არ შედიან, და ანგარიშვალდებულია ყრილობისადმი;

ბ) თავისი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს;

გ) ამოწმებს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის სამეურნეო და საფინანსო საქმიანობას, მის მიერ სახარჯთაღრიცხვო და საშტატო დისციპლინის დაცვას, აღრიცხვასა და ანგარიშგებას, საზოგადოების ცენტრალური საბჭოს აპარატში საქმეების მსვლელობის ვადებსა და სისწორეს;

დ) ანგარიშს აბარებს ყრილობას, საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პლენუმებსა და ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმს აცნობებს რევიზიების (შემოწმების) შედეგებს.

საზოგადოების ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობენ საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პლენუმების მუშაობასა და ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის სხდომებში.

### V. საზოგადოების სახსრები

31. საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების სახსრები შედგება:

ა) საზოგადოების წევრთა შესასვლელი და ყოველწლიური საწევრო შესატანებისაგან;

ბ) საზოგადოების საგამომცემლო და სამეურნეო საქმიანობიდან (სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყოებისა და სწავლების ტექნიკურ საშუალებათა წარმოებიდან) მიღებული შემოსავლისაგან.

32. საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების ფულადი სახსრები ხმარდება საზოგადოების წესდებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას, საზოგადოების აქტიური წევრების პრემირებას, აგრეთვე საზოგადოების ორგანიზაციულ-სამეურნეო საქმიანობებს.

### VI. საზოგადოების ლიკვიდაციის წესი

33. საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოება თავის საქმიანობას წყვეტს საზოგადოების ყრილობის დადგენილების ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად.

34. საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი მთელი ქონება გამოიყენება იმ წესით, რომელიც საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის მე-40 მუხლით არის დადგენილი.



**50** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის  
სამგზავრო ელექტროტრანსპორტის სამმართველოს დეპუტატების  
დამბეჭდვების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს  
მიერ წარმოდგენილი თანდართული დებულება მშრომელთა დეპუტატების სა-  
ქალაქო საბჭოს აღმასკომის სამგზავრო ელექტროტრანსპორტის (მეტროპოლი-  
ტენის გარდა) სამმართველოს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**.

ქ. თბილისი, 1973 წ. 23 მაისი, № 343.



დაბეჭდილებულია

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
1973 წლის 23 მაისის № 343  
დადგენილებით

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამგზავრო ელექტროტრანსპორტის სამმართველოს შესახებ

1. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამგზავრო ელექტროტრანსპორტის სამმართველო (საქალაქო სამგზავრო ელექტროტრანსპორტის სამმართველო) იქმნება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 104-ე მუხლის შესაბამისად სამგზავრო ელექტროტრანსპორტით ქალაქის მოსახლეობის უზრუნველყოფისა და მისი საწარმოო-სამეურნეო საქმიანობისადმი ზეღმძღვანელობის მიზნით.

2. საქალაქო სამგზავრო ელექტროტრანსპორტის სამმართველო თავის საქმიანობაში ექვემდებარება მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს, აგრეთვე საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში — ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კომუნალური მეურნეობის სამინისტროებს.

3. საქალაქო სამგზავრო ელექტროტრანსპორტის სამმართველო წარმოადგენს იურიდიულ პირს, არის დამოუკიდებელ ბალანსზე, აქვს ანგარიშები ბანკის შესაბამის კანტორებსა და განყოფილებებში, ბეჭედი საქართველოს სსრ გერბის გამოსახულებით და თავისი სახელწოდებით და მოქმედებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 731 დადგენილებით დამტკიცებული სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების საფუძველზე, „საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახელმწიფო საწარმოებსა და ორგანიზაციებში „სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების“ გამოყენების თავისებურებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 23 აპრილის № 172 დადგენილების გათვალისწინებით.

4. საქალაქო სამგზავრო ელექტროტრანსპორტის სამმართველოს ხელმძღვანელობს ერთმმართველობის საფუძველზე სამმართველოს უფროსი, რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი, რასაც შემდგომ ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს სესია.

თავის საქმიანობაში სამმართველო ზეღმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკების კომუნალური მეურნეობის სამინისტროების ბრძანებებითა და ინსტრუქციებით, საქალაქო საბჭოსა და მისი აღმასკომის განკარგულებებითა და გადაწყვეტილებებით, სხვა ნორმატიული აქტებითა და ამ დებულებით

სამმართველოს უფროსის მოადგილეს, მთავარ ინჟინერსა და მთავარ ინჟინერის მოადგილეს და ლატერს ნიშნავს და ათავისუფლებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი საქალაქო სამგზავრო ელექტროტრანსპორტის სამმართველოს უფროსის წარდგენით.

სამმართველოს საქმიანობას საფუძვლად უდევს ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის შეზამება საწარმოო ქვედანაყოფების სამეურნეო დამოუკიდებლობასთან და კოლექტივების ინიციატივასთან.

5. სამმართველოს საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მუშაკთა მთელი კოლექტივი ფართოდ მონაწილეობენ სახელმწიფო გეგმის შესრულების, საწარმო-სამეურნეო საქმიანობის განვითარებისა და სრულყოფის, სამმართველოს მუშაკთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხილვასა და განხორციელებაში.

6. სამმართველოსათვის გამოყოფილი ძირითადი და საბრუნავი სახსრები ქმნიან მის საწესდებო ფონდს, რომლის ოდენობა აისახება სამმართველოს ბალანსში.

7. საქალაქო სამგზავრო ელექტროტრანსპორტის სამმართველო და მის შემადგენლობაში შემავალი ქვედანაყოფები საწარმო-სამეურნეო საქმიანობას ახორციელებენ გეგმის შესაბამისად სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე, უზრუნველყოფენ საქალაქო მეურნეობის ინტერესებისათვის უკეთესი შედეგების მიღწევას შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების უმცირესი დანახარჯებით, მაქსიმალურად იყენებენ საწარმოო სიმძლავრეებს, შინასამეურნეო რეზერვებს, მტკიცედ იცავენ მომპირნეობის რეჟიმს, ნერგავენ მეცნიერებას, ტექნიკის უახლეს მიღწევებს და მოწინავე გამოცდილებას, აგრეთვე ნელღეულის, მასალების, სათბობის, ელექტროენერჯის ხარჯვის პროგრესულ ნორმებს, უზრუნველყოფენ მგზავრთა გადაყვანის თვითღირებულების შემცირებას, აღიდებენ წარმოების რენტაბელობას.

სამმართველოს შემადგენლობაში შემავალი ქვედანაყოფების საწარმო-სამეურნეო საქმიანობა ხორციელდება შინასამეურნეო ანგარიშის საფუძველზე.

8. საქალაქო სამგზავრო ელექტროტრანსპორტის სამმართველო:

ა) უზრუნველყოფს დაქვემდებარებული ქვედანაყოფების მეშვეობით მოძრავი შემადგენლობის უსაფრთხოდ მოძრაობას და მგზავრთა მომსახურების მაღალ კულტურას, განუწყვეტლივ ზრდის სამმართველოს ყველა დარგობრივი მეურნეობის ტექნიკურ ღონეს;

ბ) აწარმოებს კაპიტალურ რემონტს, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს, ახორციელებს ტექნიკურ ზედამხედველობას მათდამი, იღებს მოიჯარისაგან შესრულებულ სამუშაოებსა და დამთავრებულ ობიექტებს, იღებს ფონდებს და ამარაგებს მოწყობილობით მშენებლობას, ანგარიშს უსწორებს მოიჯარეს;

გ) აწყობს მუშაობას გამოგონებლობისა და რაციონალიზაციის დარგში, უზრუნველყოფს გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დროულად განხილვასა და დანერგვას, თავის დროზე უხდის გამოგონებლებსა და რაციონალიზატორებს დაწესებულ გასამრჯელოს;

დ) დროულად წარადგენს დასაბუთებულ განაცხადებს ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმის შესრულებისა და სარემონტო-საექსპლუატაციო





საპირობებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების გეგმიან განაწილებლად, იყენებს დანიშნულებისამებრ ფონდების მიხედვით გამოყოფილ მატერიალურ რესურსებს, აგრეთვე დამოუკიდებლად იძენს სხვა საპირობ მატერიალურ რესურსებს.

სამმართველოს უნდა ჰქონდეს ნედლეულის, მასალების, სათბობისა და სხვა რესურსების მარაგი დაწესებული ნორმების შესაბამისი ოდენობით, რაც უზრუნველყოფს შეუფერხებელ და რიტმულ მუშაობას, არ უნდა დაუშვას ზეგავითი მარაგის წარმოქმნა;

ე) განაგებს თავის ფინანსურ რესურსებს, უზრუნველყოფს მაქსიმალურ ეკონომიას სახსრების ხარჯვასა და გამოყენებაში, აგრეთვე დროულად უსწორებს ანგარიშს სახელმწიფო ბიუჯეტს, ბანკის დაწესებულებებს, მიმწოდებლებს, მოიჯარეებსა და სხვა ორგანიზაციებს;

ვ) აწარმოებს საბუღალტრო, საოპერაციო და სტატისტიკურ აღრიცხვას, ნერგავს აღრიცხვისა და გამოსათვლელ სამუშაოთა მოწინავე მეთოდებსა და ფორმებს, ადგენს საანგარიშგებო დოკუმენტაციას დამტკიცებული ფორმების მიხედვით და წარუდგენს მას შესაბამის ორგანოებს დაწესებულ ვადებში;

ზ) განუწყვეტლივ სრულყოფს თავის სტრუქტურას, ესწრაფვის მაქსიმალურად შეამციროს წარმოების მართვის ხარჯები, შექმნას მაღალნაყოფიერი მუშაობის პირობები და საქვეუწყებო ქვედანაყოფების მეშვეობით აღწევს შრომის ნაყოფიერების გამუდმებით ზრდას, შრომის დისციპლინის, შრომის კანონმდებლობის, შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიის, სახელმწიფო დაზღვევის წესებისა და ნორმების დაცვას, ახორციელებს გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს;

თ) ახორციელებს ღონისძიებებს თავისი ქვედანაყოფების მუშაოთა და მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების სისტემის ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად, ცდილობს გააძლიეროს მუშაკთა მატერიალური დაინტერესება როგორც მათი პირადი შრომის შედეგებით, ისე სამმართველოს მუშაობის საერთო შედეგებითაც, უზრუნველყოფს სწორ თანაფარდობას შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპსა და ხელფასის ზრდის ტემპს შორის, ხელფასის ფონდის სახსრების მომჭირნეობით და რაციონალურად ხარჯვას და დროულ ანგარიშსწორებას მუშებთან და მოსამსახურებთან;

ი) ხელმძღვანელობს მუშაოთა ახალი კადრების მომზადებას, მათ მიერ ახალი პროფესიების შესწავლას და სისტემატურად უმაღლებს მუშაკებს საწარმოო კვალიფიკაციას კანონმდებლობის შესაბამისად;

კ) სისტემატურად აუმჯობესებს მუშაკთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებს, ახორციელებს საცხოვრებელი სახლების, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობას.

9. სამმართველოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, აგრეთვე ცვლილებათა შეტანა ამ დებულებაში ხდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 731 დადგენილებით დამტკიცებული სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულებით გათვალისწინებული წესით.

## 51 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ბ. ნ. ჩუბინაშვილის ხსოვნის უკვდავოფის შესახებ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გიორგი ნიკოლოზის ძე ჩუბინაშვილის ხსოვნის უკვდავოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას:

ა) გამოსცეს გ. ჩუბინაშვილის რჩეული შრომების მე-2 ტომი და გამოუქვეყნებელი შრომები ერთ ტომად;

ბ) დადგას გ. ჩუბინაშვილის საფლავზე განსვენებულის ბიუსტი.

2. დაწესდეს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტებისათვის გ. ჩუბინაშვილის სახელობის ერთი სტიპენდია საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სასტიპენდიო ფონდის ხარჯზე.

3. დაევალოს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს:

ა) მიაკუთვნოს გ. ჩუბინაშვილის სახელი თბილისის ერთ-ერთ ქუჩას;

ბ) გაუყეთოს მემორიალური დაფა სახლს, სადაც ცხოვრობდა გ. ჩუბინაშვილი.

4. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ინსტიტუტს მიეკუთვნოს აკადემიკოს გ. ჩუბინაშვილის სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 28 მაისი, № 351.

## 52 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 3 ნოემბრის № 694 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვისის შესახებ

„სსრ კავშირის სახალხო კონტროლის ორგანოების შექმნის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვისის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 11 მაისის № 312 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 3 ნოემბრის № 694 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბ-

ქოს სახელმწიფო კონტროლის კომისიის (საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის) დებულებისა და ამ კომისიის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარე ბ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი.

ქ. თბილისი, 1973 წ. 31 მაისი, № 368.

### 53 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 23 აგვისტოს № 449 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 23 აგვისტოს № 449 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს წინადადება და ხორცკომბინატებიდან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დიდი მანძილით დაშორებისა და თითოეული მეურნეობის სახელმწიფო შესყიდვის გეგმის სიმცივრის გამო საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ მიიღოს აგრეთვე პირუტყვი სახელმწიფო შესყიდვის გეგმის ანგარიშში ცოცხალი წონით წალენჯიხის, ჩხოროწყუს, დუშეთის, ამბროლაურის, ორჯონიკიძის, ხულოს, შუახევის, ონის, ლენტეხის, მესტიის, ცაგერის, თიანეთის, ჯავისა და ყაზბეგის რაიონებში.

2. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ მიიღოს პირუტყვი ცოცხალი წონით დანარჩენი რაიონებიდანაც იმ რაოდენობით, რაც საჭიროა ამ სამინისტროსათვის გეგმით გათვალისწინებული პირუტყვის წონამატების მისაღებად და სავაჭრო, საკურორტო ორგანიზაციების, ტურისტული ბაზებისა და გეოლოგიური პარტიების ფონდების დასასაქონლებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარე ბ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი.

ქ. თბილისი, 1973 წ. 4 ივნისი, № 369.

**54** საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მუშაკთა სოციალისტური ორგანიზაციების გამარჯვებულთა დაჯილდოებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვის წესდების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის შესაბამისი დადგენილებებით გათვალისწინებული სოფლის მეურნეობის მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრების გაშლასთან დაკავშირებული პრემირებისა და სხვა წამახალისებელ ღონისძიებათა განხორციელებისათვის საჭირო ხარჯები გაღებულ იქნეს შემდეგი წყაროებიდან:

— ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რაიონების, კოლმეურნეობების, ფერმების, ბრიგადების, რგოლებისა და ცალკეულ მოწინავეთა პრემირების ხარჯები — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის საოპერაციო ხარჯების გასაწევად გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებებიდან;

— საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო მეურნეობების, აგრეთვე მათ შემადგენლობაში შემავალი განყოფილებების, ფერმების, ბრიგადების, რგოლებისა და მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ცალკეულ მოწინავეთა პრემირების ხარჯები — შესაბამისი საწარმოს ან ორგანიზაციის მოგებიდან ან ზეგვემითი ეკონომიიდან;

— ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების გადაწყვეტილებებით კოლექტივების, განყოფილებების, ფერმების, ბრიგადების, რგოლებისა და მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ცალკეულ მოწინავეთა პრემირების ხარჯები — ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრებიდან.

2. ნება დაერთოთ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის გამგეობას, როგორც გამონაკლისი, მისცენ უნაღლო ანგარიშსწორებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 1973 წელს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა — სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად კულტურულ-საყოფაცხოვრებო საქონელი შესაბამისად 45 ათასი მანეთისა და 20 ათასი მანეთის ოდენობით, ხოლო საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს — 24,9 ათასი მანეთისა და 12,5 ათასი მანეთის ოდენობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარე **ბ. ჯაჰანოშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**



## 55 საქართველოში მეფუტკრეობის უმეღგომი განვითარების ნიშნები შესახვა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ უაღრესად სასარგებლო სამეურნეო ნიშანთვისებათა წყალობით ქართული ფუტკარი მსოფლიოში გამაუმჯობესებელ ჯიშადაა აღიარებული, მას მეფუტკრეობის XXII საერთაშორისო კონგრესზე 1971 წლის აგვისტოში მესამედ მიენიჭა ოქროს მედალი. ქართული ჯიშის დედა ფუტკარი და მისი ნაყარი გაჰყავთ მსოფლიოს 40 ქვეყანაში.

მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეფუტკრეობის განვითარებას, აგრეთვე ქართული ფუტკრის დაცვასა და მის შემდგომ სრულყოფას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა.

რესპუბლიკაში ფუტკრის ოჯახთა რაოდენობა 1963 წელს არსებული 162,3 ათასიდან შემცირდა 160,4 ათასამდე 1972 წელს, მათ შორის საზოგადოებრივ მეურნეობებში — 86,0 ათასიდან 74,7 ათასამდე. მცირდება აგრეთვე ფუტკრის ოჯახთა პროდუქტიულობა. ეს იწვევს თაფლის თვითღირებულების ზრდას.

ზოგიერთ კოლმეურნეობაში ფუტკრის ოჯახების რიცხვი მცირეა. მაგალითად, შუახევის, ცხაკაიას, წულუკიძის რაიონების 48 კოლმეურნეობას სულ 331 ფუტკრის ოჯახი ჰყავს.

კასპის რაიონის 11 კოლმეურნეობიდან — 3 კოლმეურნეობას, ორჯონიკიძის რაიონის 34 კოლმეურნეობიდან — 21, გურჯაანის რაიონის 15 კოლმეურნეობიდან — 10 კოლმეურნეობას, აგრეთვე ზოგიერთ სხვა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას ფუტკარი სრულიად არა ჰყავს, ხოლო წალკის, თიანეთის, დუშეთის, ყაზბეგისა და ზოგიერთი სხვა რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მიუხედავად მეფუტკრეობის განვითარებისათვის კარგი პირობებისა, ეს დარგი თითქმის მთლიანად მიივიწყეს.

უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ფუტკრის ერთ ოჯახზე საშუალოდ წელიწადში მიღებული იყო: კოლმეურნეობებში — 2,8 კგ, საბჭოთა მეურნეობებში — 3,6 კგ, სატყეო მეურნეობებში — 4 კგ სასაქონლო თაფლი, რაც ძალზე ცოტაა და ამიტომ მეფუტკრეობა ბევრ მეურნეობაში ჯერ კიდევ მცირე შემოსავლიანი და ზარალიანია. ძალზე დაბალია აგრეთვე სასაქონლო ცვილის წარმოება.

ფუტკარი, როგორც სასოფლო-სამეურნეო ენტომოფილური კულტურების დამტვერიანების მნიშვნელოვანი ფაქტორი, ჯერ კიდევ არ არის ფართოდ გამოყენებული კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. გორის რაიონში, სადაც მსხმოიარე ხეხილის ბაღების ფართობი 3 ათას ჰექტარზე მეტია, დასამტვერიანებლად ესაჭიროებათ სულ ცოტა 6500 ფუტკრის ოჯახი, ფაქტიურად კი ჰყავთ 2700 ოჯახი; ქარელის რაიონში 1630 ჰექტარი ბაღის დასამტვერიანებლად ესაჭიროებათ 4 ათასამდე ფუტკრის ოჯახი, ფაქტიურად კი მხოლოდ 1200-მდე ოჯახია. ანალოგიური მდგომარეობაა ხაშურის, ცხინვალის, ახალციხისა და მეხილეობის სხვა რაიონებში.



ლტურების დამტვერიანებაში ფუტკრის ეფექტიანად გამოყენებისა და კრეობაში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ფართოდ გაშლის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტვიცდეს ფუტკრის მომრავლება-მოშენების დავალება 1974-1975 წლებისათვის, № 1 დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა ერთი თვის ვადაში განაწილონ და აცნობონ ეს დავალება რაიონებსა და მეურნეობებს.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს:

— მიმდინარე წლის 1 აგვისტომდე გულდასმით შეისწავლონ მეფუტკრეობის არსებული მდგომარეობა ცალკეულ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებში, განიხილონ საკითხი და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ამ დარგის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად;

— ურჩიონ კოლმეურნეობებს წვრილი საკოლმეურნეო საფუტკრეობების გამსხვილება ერთი მეფუტკრის სრული დატვირთვის ნორმამდე, დააკომპლექტონ საფუტკრეობი მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით;

— სისტემატური კონტროლი დაუწესონ საფუტკრეობებში პირველადი ზოოტექნიკური აღრიცხვისა და სანაშენო-სასელექციო საქმის მოწესრიგებას. არ დაუშვან მეფუტკრე სპეციალისტების სხვა სამუშაოზე გამოყენება;

— ფართოდ გამოიყენონ პრაქტიკაში მეცნიერების უახლესი მიღწევები და მოწინავე გამოცდილება, რისთვისაც ჩააბან ამ საქმეში მეფუტკრეობის დარგის სპეციალისტები — ზოოტექნიკოს-ინსპექტორები, ვეტერინარი ექიმები, მეცნიერი მუშაკები. რაიონულ სასოფლო-სამეურნეო გამოფენებზე ფართო ჩვენებით წარმოადგინონ რაიონების სანიმუშო საფუტკრეობი, უჩვენონ მოწინავე აღამიანების საწარმოო გამოცდილება პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მეშვეობით;

— მიიღონ ზომები თავლისა და მეფუტკრეობის სხვა პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და საფუტკრეობებში შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის;

— უზრუნველყონ საფუტკრეობებში თავლისა და სხვა პროდუქციის ზუსტი აღრიცხვა და შენახვა;

— ქმედითი ზომები მიიღონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების შხამქიმიკატებით წამლობის შედეგად ფუტკრის დაზიანების თავიდან აცილებისათვის; აამაღლონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სატყეო მეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტების პასუხისმგებლობა შხამქიმიკატების სწორად გამოყენების საქმეში;

— უზრუნველყონ საფუტკრეები საჭირო ინვენტარ-მოწყობილობითა და მალალმითან რაიონებში ფუტკრის გამოსაზამთრებელი ბინებით;

— მიიღონ გაჯამპრელი ზომები ფუტკრის დაავადებათა წინააღმდეგ საბროლოველად;

— ინფექციურ და ინვაზიურ დაავადებათა გავრცელების თავიდან აცილების მიზნით სამომთაბაროდ არ დაუშვან სხვა რაიონების საფუტკრეები საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნებართვის გარეშე.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს:

სისტემატურად შეამოწმონ და განიხილონ მეფუტკრეობის მდგომარეობა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სატყეო მეურნეობებში, საკოლმეურნეობათაშიორისა და სახელმწიფო ფუტკრის საჯიშე მეურნეობებში, დასახონ და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი ამ ღარგის აღმავლობისათვის.

4. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ:

— მიიღოს ქმედითი ზომები მეფუტკრეობის სამმართველოს ქართული ფუტკრის მოშენების სახელმწიფო საჯიშე მეურნეობების მუშაობის გასაუმჯობესებლად;

— უზრუნველყოს მეფუტკრეობის სამმართველო წარმოების საჭიროებისათვის ხე-ტყითა და ხე-ტყის საზიდი ტრანსპორტით;

— წარმართოს მეფუტკრეობის საცდელი სადგურის მუშაობა ქართული ფუტკრის ხალასად შენარჩუნებისათვის, გაუმჯობესოს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მისი შემდგომი შესწავლისათვის და სრულყოს მეფუტკრეობის პროდუქტების წარმოების პროგრესული ტექნოლოგია.

5. დაევალოს საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი ქართლის რაიონებში არსებული საბჭოთა მეურნეობების ბაზაზე მსხვილი სპეციალიზებული სადამტვერვო პროდუქტიული მიმართულების მეხილეობა-მეფუტკრეობის 2 საბჭოთა მეურნეობის მოწყობის შესახებ.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საბროექტო ინსტიტუტმა „საქსახმიწროექტმა“ გაითვალისწინონ ტყის, ანლომრებარე ეროიდირებული ფართობების, ქარსაფარი ზოლების, ხროიკი ადგალებისა და გზის პირების გამწვანების დაპროექტების დროს თაფლოვანი მცენარეების უპირატესი გაშენება.

7. ფუტკრის მოშენების სახელმწიფო საჯიშეების ყოველწლიურ სარგებლობაში დარჩეს მიწის ის ნაკვეთები, რომლებზეც ფაქტიურად მათი საფუტკრეებია განლაგებული (დანართი № 2).

ღალიანობის მაქსიმალურად ათვისების მიზნით დაწესდეს საფუტკრეებისათვის საღალო ადგილები და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის წარდგინებით სახელმწიფო ტყის ფონდის ფართობები, რომლებსაც განაწილებს სოფლის მეურნეობის სამინისტრო



ეს განაწილება სავალდებულოდ ჩაითვალოს ყველა ორგანიზაცია-დაწესებულებისათვის, განურჩევლად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა.

8. იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეფუტკრეობის სამმართველოს სპეციალური საწარმოო ბაზა უზრუნველყოფს რესპუბლიკის მოთხოვნილებას მეფუტკრეობის ინვენტარმოწყობილობასა და ხელოვნურ ფიჭვაზე, აეკრძალოს ამ მასალების წარმოება და რეალიზაცია ყველა ორგანიზაცია-დაწესებულებას მათი უწყებრივი დაქვემდებარების განურჩევლად.

ნება დაერთოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს დაამზადოს საკვები და ხელოვნური ფიჭა თავისი სატყეო მეურნეობების საფუტკრეების საჭიროებისათვის.

9. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მეფუტკრეობის ინვენტარითა და მასალებით მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესების მიზნით გამოუყოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეფუტკრეობის სამმართველოს 80 კვ. მეტრი ფართობი ქ. თბილისში სპეციალური მაღაზიის მოსაწყობად.

10. სავალდებულოდ ჩაითვალოს ყველა უწყებისათვის, ორგანიზაციისა და საწარმო-დაწესებულებისათვის, მათი უწყებრივი დაქვემდებარების განურჩევლად, აგრეთვე მოსახლეობისათვის საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინადადებანი და მითითებანი ფუტკრის მოვლისა და მოშენებას შესახებ.

11. დავეალოს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად სამი თვის ვადაში წარმოადგინოს მინისტრთა საბჭოში წინადადებები ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით ძველი დადგენილებების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

12. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 1974 წლის I კვარტალში მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**.



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 1973 წლის 9 ივნისის № 384  
 დადგენილების დანართი № 1

### დავების კატეგორია

ფუტკრის მომრავლება-მოშენებისა 1974-1975 წლებისათვის

მეურნეობის კატეგორია	ფუტკრის ოჯახების რაოდენობა (ათასი)	
	1974 წელი	1975 წელი
კომმუნალური მეურნეობები . . . . .	46,0	48,0
საბჭოთა მეურნეობები . . . . .	15,0	16,0
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სა- ხელმწიფო კომიტეტის მეურნეობები . . . . .	7,0	8,0
სხვა სახელმწიფო მეურნეობები . . . . .	18,0	20,0
სულ . . . . .	86,0	92,0

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**.



საქართველოს სსრ მიწისებრთა საბჭოს  
1973 წლის 9 ივნისის № 384  
დადგენილების დანართი № 2

**ნ უ ს ხ ა**

**მიწის ნაკვეთებისა ქართული ფუტკრის მოშენების სახელმწიფო საჯიშეების საფუტკრეების დასაყენებლად**

საჯიშეს დასახელება	ნაკვეთის ადგილმდებარეობა	ფართობი
1. ქართული ფუტკრის მოშენების ჩხოროწყუს სახელმწიფო საჯიშე	<p align="center"><b>წალენჯიხის რაიონი</b></p> <p>სატყეო მეურნეობა ნასაყდრალი . . . . . 1 ჰა ჭოჭიკო ხარჩილავას ნასახლარი . . . . . 0,5 ჰა ბეგი მიქავას ნასახლარი . . . . . 1 ჰა მიხა კვარაცხელიას ნასახლარი . . . . . 0,5 ჰა სოლომონ კვარაცხელიას ნასახლარი . . . . . 2,0 ჰა ნოქაღურენი . . . . . 5,0 ჰა</p> <p align="center"><b>ჩხოროწყუს რაიონი</b></p> <p>სატყეო მეურნეობა შელეთი . . . . . 2 ჰა ნოხორი . . . . . 0,5 ჰა ლარგია . . . . . 0,5 ჰა ლეიშენი . . . . . 1 ჰა</p> <p align="center"><b>გემეჭკორის რაიონი</b></p> <p>სატყეო მეურნეობა ჭობალიას ნასახლარი . . . . . 8 ჰა ფოჭვა . . . . . 1 ჰა</p>	
2. ქართული ფუტკრის მოშენების სოხუმის სახელმწიფო საჯიშე	<p align="center"><b>გულრიფშის რაიონი</b></p> <p>სოფ. ზემო მერხელის კოლმეურნეობა . . . . . 0,5 ჰა სოფ. ზემო ლათა, 52-ე კმ-ზე (სატყეო მეურნეობა) . . . . . 0,5 ჰა სოფ. მერხელის კოლმეურნეობა . . . . . 0,5 ჰა</p> <p align="center"><b>სოხუმის რაიონი</b></p> <p>ციმურის ხეობა (სატყეო მეურნეობა) . . . . . 1 ჰა ჩიდიშის ხეობა (სატყეო მეურნეობა) . . . . . 1 ჰა სოფ. ბესლეთის კოლმეურნეობა . . . . . 0,5 ჰა</p> <p align="center"><b>ოჩამჩირის რაიონი</b></p> <p>სოფ. ტამიშის ეთერზეთების ქარხანა-მეურნეობა . . . . . 1,0 ჰა</p>	

საჯიშეს დასახელება	ნაკეთის ადგილმდებარეობა	ფაქტობრივი
3. ქართული ფუტკრის მოშენების ყვარლის სახელმწიფო საჯიშე	<p style="text-align: center;"><b>ყვარლის რაიონი</b></p> <p>სატყეო მეურნეობა . . . . .</p> <p>გონჯაბევი . . . . .</p> <p>ნაბაკრები . . . . .</p> <p>სიპიანა . . . . .</p> <p>ვაშლიგორი . . . . .</p> <p>საცხენე . . . . .</p> <p>დაბალბევი . . . . .</p>	<p>1 პა</p> <p>1 პა</p> <p>1 პა</p> <p>1 პა</p> <p>1 პა</p> <p>1 პა</p>
4. ქართული ფუტკრის მოშენების სიღნაღის სახელმწიფო საჯიშე	<p style="text-align: center;"><b>სიღნაღის რაიონი</b></p> <p>წნორის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის გამოსაზრდელ-სასუქებელი კომპლექსი</p> <p>ყარყატები . . . . .</p> <p>ტარიელაანთბორანი . . . . .</p> <p>ალექსიანთ ყურე . . . . .</p> <p>ჯიმთ ყურე . . . . .</p> <p>ციც-გომბორის კალთები . . . . .</p>	<p>1 პა</p> <p>1 პა</p> <p>1 პა</p> <p>1 პა</p> <p>1 პა</p>
5. ქართული ფუტკრის მოშენების ორჯონიკიძის სახელმწიფო საჯიშე	<p style="text-align: center;"><b>ორჯონიკიძის რაიონი</b></p> <p>სოფელ ღვერკის კოლმეურნეობა . . . . .</p> <p>სოფელ სარგვეშის კოლმეურნეობა . . . . .</p> <p>სოფელ ბორითის კოლმეურნეობა . . . . .</p> <p>სოფელ წყალფორეშის კოლმეურნეობა . . . . .</p> <p style="text-align: center;"><b>ზესტაფონის რაიონი</b></p> <p>სოფელ ძირულის კოლმეურნეობა . . . . .</p> <p>სოფელ ილმის კოლმეურნეობა . . . . .</p> <p>სოფელ დილიკოურის კოლმეურნეობა . . . . .</p> <p>სოფელ ბულღევის კოლმეურნეობა . . . . .</p> <p>როდინოულის საბჭოთა მეურნეობა . . . . .</p> <p>შროშის სატყეო მეურნეობა . . . . .</p>	<p>2 პა</p> <p>2 პა</p> <p>2 პა</p> <p>2 პა</p> <p>3 პა</p> <p>2 პა</p> <p>2 პა</p> <p>2 პა</p> <p>3 პა</p> <p>2 პა</p>
5. ქართული ფუტკრის მოშენების სამტრედიის სახელმწიფო საჯიშე	<p style="text-align: center;"><b>მაიაკოვსკის რაიონი</b></p> <p>საირმის ხეობა (სატყეო მეურნეობა) . . . . .</p> <p style="text-align: center;"><b>წყალტუბოს რაიონი</b></p> <p>სოფელ ვონეთის კოლმეურნეობა . . . . .</p> <p>სოფელ ოფურჩხეთის კოლმეურნეობა . . . . .</p> <p>სოფელ მექენის კოლმეურნეობა . . . . .</p>	<p>2 პა</p> <p>1 პა</p> <p>1 პა</p> <p>1 პა</p>

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**,

**56** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ ბათუმის ელექტროტექნიკური ქარხანა გარდაიქმნა სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობის და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთა სამინისტროს ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათმშენებლობის ქარხანად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ადგენს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ იმ საწარმოთა და დაწესებულებათა სიაში, რომელთა სახლებიდან საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის თანახმად დასაშვებია სასამართლო წესით, საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად იმ მუშა-მოსამსახურეების გამოსახლება, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის დათხოვნასთან დაკავშირებით, შეტანილ იქნეს ცვლილება: ბათუმის ელექტროტექნიკური ქარხნის ნაცვლად სიაში ჩაიწეროს „ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათმშენებლობის ქარხანა“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **წ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 15 ივნისი, № 394.

## 57 უკანონო ჰრით საბჭოეო მიუარნოგაზი გამოცვეული ზარალისათვის მატერიალური კასუსნისმგებლოგის გაძლიერების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ ტყეებისათვის უკანონო ჰრით ან დაზიანებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების ოდენობა მოქმედი ნიხრით იმდენად დაბალია, რომ იგი დამნაშავეებზე ვერ ახდენს საჭირო ზეგავლენას, რაც დიდად უშლის ხელს რესპუბლიკაში უკანონო ჰრის აღკვეთას, ამავდროს არასწორადაა გაიგივებული იაფფასიანი და ძვირფასი ჯიშებისათვის უკანონო ჰრით მიყენებული ზარალის ანაზღაურების ოდენობა.

არის ტყეების უკანონო ჰრის შესახებ აღძრული საქმეების დიდი დაგვიანებით განხილვისა და დამნაშავეთა მიმართ კანონით დადგენილი ზომების მიუღებლობის შემთხვევები.

უკანონო ჰრისაგან ტყის დაცვის გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს თანდართული „ნიხრი ანაზღაურების ოდენობის დადგენისა იმ ზარალისათვის, რომელსაც მოსახლეობა მიაყენებს სატყეო მეურნეობას ხეებისა და ბუჩქების უკანონო ჰრითა და დაზიანებით მათი ზრდის დამთავრებამდე“, რომელიც ძალაში შევიდეს 1973 წლის 1 ივლისიდან.

2. ამავდროებიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 30 დეკემბრის № 653 დადგენილებით დამტკიცებული „ნიხრი ანაზღაურების ოდენობის დადგენისა იმ ზარალისათვის, რომელსაც მოსახლეობა უკანონო ჰრით მიაყენებს ტყეებს, დაზიანებს ხეებს და ბუჩქებს მათი ზრდის დამთავრებამდე“ (დანართი № 4).

3. დავალოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს სისტემატურად და პრიციპულად განიხილონ ტყეების უკანონო ჰრისაგან დაცვის საკითხები.

4. დავალოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს უზრუნველყოს ტყეების უნებართვო ჰრის შესახებ აღძრული საქმეების მოკვლევა დადგენილ ვადებში და სასამართლოებისათვის მათი დროულად გადაცემა. საქართველოს სსრ პროკურატურამ გააძლიეროს ზედამხედველობა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების მიერ ტყეების ჰრის შესახებ აღძრულ საქმეთა დროული გამოძიებისა და სასამართლოებში ტყის წესების დარღვევის შესახებ საქმეთა განხილვისადმი.

5. დავალოს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, რათა სახალხო სასამართლოებმა ტყეების უკანონო ჰრის შესახებ აღძრული საქმეები განიხილონ დადგენილ ვადებში, მოაწყონ საჩვენებელი პროცესები და დამნაშავეთა მიმართ გამოიყენონ კანონით გათვალისწინებული სასჯელის ზომები იმის გათვალისწინებით, რომ ტყე ბუნების გაჯანსაღების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორ-

რია და მისი დაცვა ყოველგვარი ხელყოფისაგან ხელისუფლების ყველა ორგანოს გადაუდებელი ამოცანაა.

6. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს და მის ადგილობრივ ორგანოებს მკვეთრად გააუმჯობესონ ტყის დაცვის პერსონალის მუშაობა, ძირშივე აღკვეთონ უღისციპლინობისა და ყოველგვარი სხვა სამსახურებრივი დანაშაულის ფაქტები და მცდელობა, რაც ზიანს მიაყენებს სატყეო მეურნეობას. განემარტოს სატყეო მეურნეობის ორგანოების ხელმძღვანელებს, რომ მათ ეკისრებათ პირადი პასუხისმგებლობა ტყის უკანონო ჭრისაგან დაცვის საქმეში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 15 ივნისი, № 395.

ნ ი ხ რ ი

ანაზღაურების ოდენობის დადგენისა იმ ზარალისათვის, რომელსაც მოსახლე-ობა უკანონო ჭრით მიაყენებს სატყეო მეურნეობას ხეებისა და ბუჩქების უკანონო ჭრითა და დაზიანებით მათი ზრდის დამთავრებამდე

ხის დიამეტრი ძირკვთან სანტიმეტრებში	ზარალის ანაზღაურების ოდენობა თითოეულ მოჭრილ ან დაზიანებულ ხეზე მანეთებსა და კაბიკებში			
	I ჯგუფის ტყეებში, სახე-ლამქო ნაირობებში, სა-კურორტო ტყეებში, ტყე-პარკებში, ქალაქებისა და დასახლებულ პუნქტების ირგვლივ მყოფი ზონის ტყეებში, სპიცი, დანიშნუ-ლების ტყეებში, მინდორ-საცვხ, ნიადაგსაცვხ, ნაპირ-საცვხ ტყეებში	II ჯგუფის ტყეებში	ქრაკარბალული ძვირფასი ჯიშების (ფიხოფერი, ბზა, ძელქვა, წაბლი, კაკალი, კე-ვის ხე, მუხა, პანტა, მგვი-ლი და სხვა) მოჭრა-დაზიანე-ებისათვის	
4 სმ-მდე . . . . .	4-00	2-50	8-00	
4,1 სმ-დან 8 სმ-მდე . . . . .	6-50	4-00	13-00	
8,1 სმ-დან 12 სმ-მდე . . . . .	9-50	6-00	19-00	
12,1 სმ-დან 16 სმ-მდე . . . . .	13-50	9-00	27-00	
16,1 სმ-დან 20 სმ-მდე . . . . .	17-50	11-00	35-00	
20,1 სმ-დან 24 სმ-მდე . . . . .	22-00	14-00	44-00	
24,1 სმ-დან 28 სმ-მდე . . . . .	26-50	17-00	53-00	
28,1 სმ-დან 32 სმ-მდე . . . . .	31-00	20-00	62-00	
32,1 სმ-დან 36 სმ-მდე . . . . .	36-00	23-00	72-00	
36,1 სმ-დან 40 სმ-მდე . . . . .	41-50	26-50	83-00	
დიამეტრის თითოეულ სანტიმეტრზე 40 სმ-ის ზევით . . . . .	1-40	0-90	2-80	
ყოველი ჯიშის დეკორატიული და ტექ-ნიკური კულტურის თითოეულ ბუჩქზე	6-00	3-50	12-00	

შენიშვნა: მოჭრილი ხე-ტყის მითვისების, ზეხმელი ხეების უკანონო ჭრისა და ქარქცეული და ქარტეხილი ხე-ტყის თვითნებური გაზიდვის შემთხვევაში ეს ნიბრი არ გამოიყენება. ზარალის ანაზღაურება უნდა მოხდეს მოცემულ ადგილებში მოსახლეობაზე გასაცემი ხე-ტყის მოჭმელი ფასის 2-ჯერ გადიდებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **წ. ახვლედიანი.**



СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА  
ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 3 за 1973 год.

---

**გამომცემელი:** საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

---

ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/IX-73 წ. ქალაქის ზომა 70×108 1/16.  
საბეჭდი თაბახი 5 სააღრიცხვო თაბახი 5.

წლიური ხელმოწერის ფასი 8 მან.